

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №584

2017 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

**ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ**

### მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2030 წლის 1 იანვრიდან.

*საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №449 – ვებგვერდი, 06.09.2022წ.*

*საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 30.12.2025წ.*

### მუხლი 3. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №449 – ვებგვერდი, 06.09.2022წ.*

### მუხლი 4. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №449 – ვებგვერდი, 06.09.2022წ.*

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

**ტექნიკური რეგლამენტი – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე**

თავი I

**ზოგადი დებულებები**

### მუხლი 1

1. ტექნიკური რეგლამენტი ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ვრცელდება მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე და არ მოიცავს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილების პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ღორის კლასიკურ ჭირთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის“ (დანართი №6) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ გარეული ღორებით ვაჭრობას.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

### მუხლი 2

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ჯოგი/კოლტი** – სადგომში მყოფი ცხოველ(ებ)ი ან ცხოველთა ჯგუფი, როგორც ეპიდემიოლოგიური



ერთეული. თუ სადგომი ერთზე მეტ ჯოგს/კოლტს ითვლის, თითოეული ჯოგი/კოლტი წარმოადგენს ცალკეულ ერთეულს და უნდა გააჩნდეს ჯანმრთელობის ერთი და იგივე სტატუსი;

ბ) დასაკლავად განკუთვნილი ცხოველი – მსხვილფეხა საქონელი (მათ შორის, ბიზონისა Bison bison და კამერის Bubalus bubalus ჯიშები) ან ღორი, რომელიც გამიზნულია სასაკლაოზე ან შემკრებ ცენტრში გადასაყვანად, საიდანაც შესაძლებელია შემდგომ მათი გადაადგილება მხოლოდ სასაკლაოზე;

გ) სანაშენე ან სასურსათო დანიშნულების ცხოველი – მსხვილფეხა საქონელი (მათ შორის, ბიზონისა Bison bison და კამერის Bubalus bubalus ჯიშები) და ღორი (გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულისა), მათ შორის, სანაშენე, მერძეული და მეხორცეული ან გამწვევი, ასევე შოუსთვის ან გამოფენისთვის განკუთვნილი ცხოველი, გარდა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ცხოველებისა;

დ) ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგი – მსხვილფეხა საქონლის ჯოგი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი – ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-10-მე-11 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ვ) ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგი – მსხვილფეხა საქონლის ჯოგი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის მე-2-მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ზ) ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ქვეყნის ნაწილი – ქვეყნის ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის 23-ე-25-ე პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

თ) ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის 23-ე-25-ე პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ი) ბრუცელოზისგან თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგი – მსხვილფეხა საქონლის ჯოგი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის მე-14-მე-15 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

კ) მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგი – ჯოგი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ლ) მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი – ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-8-მე-9 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

მ) სახელმწიფო ვეტერინარი – სააგენტოს მიერ დანიშნული ვეტერინარი;

ნ) ავტორიზებული ვეტერინარი – ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ ავტორიზებული ნებისმიერი ვეტერინარი;

ო) სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადება – ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დაავადებები;

პ) შემკრები ცენტრი – სადგომი, შემგროვებელი ცენტრი და ბაზრობა, სადაც ხდება სხვადასხვა სადგომებიდან წარმოშობილი მსხვილფეხა საქონლისა და ღორის ერთად თავმოყრა ვაჭრობისთვის გამიზნულ პარტიებად. აღნიშნული შემკრები ცენტრი ავტორიზებულ უნდა იქნეს სავაჭრო მიზნებისთვის და აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს;



ჟ) დილერი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ყიდულობს და ყიდის ცხოველებს კომერციული მიზნებისათვის, გააჩნია ამ ცხოველების რეგულარული ბრუნვა და ცხოველების შემენიდან არა უმეტეს 30 დღისა ხელახლა ყიდის მათ ან გადაჰყავს ისინი თავდაპირველი განთავსების ადგილიდან სხვაგან, რომელიც არ წარმოადგენს მის საკუთრებას და აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლით განსაზღვრულ პირობებს;

რ) ტუბერკულოზის გაწმენდილი ცილოვანი დერივატი (ტუბერკულოზის PPD (გაწმენდილი ცილოვანი დერივატი), მსხვილფეხა საქონლის ან ფრინველისა) – წარმოადგენს პრეპარატს, რომელიც M bovis-ის ან M avium-ის (საჭიროების შესაბამისად) ბაქტერიების ზრდისა და ლიზისის თერმულად დამუშავებული პროდუქტებისგან მიიღება და შესწევს უნარი, გამოავლინოს შენელებული ჰიპერმგრძობელობა ცხოველში, რომელიც მგრძობიარეა იმავე ტიპის მიკროორგანიზმებზე;

ს) OIEISS – შრატის სტანდარტის საერთაშორისო ეტალონი;

ტ) ELISA – ენზიმშემკავშირებელი იმუნო-ფერმენტული ანალიზი.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ ტექნიკური რეგლამენტით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

### მუხლი 3

1. ქვეყანაში დასაშვებია მხოლოდ იმ მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ვაჭრობა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებს.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მსხვილფეხა საქონელი და ღორი:

ა) ექვემდებარება:

ა.ა) იდენტიფიკაციის შემოწმებას;

ა.ბ) სახელმწიფო ვეტერინარის მიერ კლინიკურ შემოწმებას გაგზავნამდე 24 საათის განმავლობაში და არ უნდა ავლენდეს დაავადების კლინიკურ ნიშანს;

ბ) არ უნდა იყოს ისეთი სადგომიდან ან არეალიდან, რომელიც ჯანმრთელობის თვალსაზრისით ექვემდებარება ისეთ აკრძალვას ან შეზღუდვას, რაც ზეგავლენას ახდენს შესაბამის სახეობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ) არ უნდა იყოს შეზღუდვას დაექვემდებარებული გადამდები ან ინფექციური დაავადების აღმოფხვრის პროგრამის ფარგლებში და ამ პროგრამის ფარგლებში დაკვლისთვის განკუთვნილი;

ე) უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-5 მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

### მუხლი 4

1. წარმოშობის სადგომის დატოვებისას და დანიშნულების ადგილზე ჩაყვანისას არ უნდა მოხდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მსხვილფეხა საქონლისა და ღორის კონტაქტი წყვილჩლიქიან ცხოველებთან, გარდა იმ ცხოველებისა, რომელთაც გააჩნიათ ჯანმრთელობის იგივე სტატუსი.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მსხვილფეხა საქონლისა და ღორის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ისეთი სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მოთხოვნებს.



## მუხლი 5

1. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მსხვილფეხა საქონელსა და ღორს დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას თან უნდა ახლდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ №3-ით „ცხოველის ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატი მსხვილფეხა საქონლის მოშენების/წარმოების/დაკვლისთვის“ ან დანართ №4-ით „ცხოველის ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატი ღორის მოშენების/წარმოების/დაკვლისთვის“ განსაზღვრული ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატი, სერტიფიკატი უნდა შედგებოდეს ერთი ფურცლისგან ან სადაც ერთზე მეტი გვერდია საჭირო ჰქონდეს ისეთი ფორმა, რომ ნებისმიერი ორი ან მეტი გვერდი შეადგენდეს ერთი მთლიანობის ნაწილს, იყოს განუყოფელი და ჰქონდეს სერიული ნომერი; შედგენილ უნდა იქნეს ჯანმრთელობის შემოწმების დღეს და ქართულ ენაზე. სერტიფიკატი ძალაშია ჯანმრთელობის შემოწმებიდან 10 დღის განმავლობაში.

2. ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატის გასაცემად ჯანმრთელობის შემოწმება ცხოველთა პარტიას შეიძლება ჩაუტარდეს წარმოშობის სადგომში ან შემკრებ ცენტრში. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ჯანმრთელობის სერტიფიკატი შედგენილ იქნეს სახელმწიფო ვეტერინარის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული შემოწმებებისა და კონტროლის შემდეგ, თუმცა:

ა) ცხოველისთვის, რომელიც გაჰყავთ ავტორიზებული შემკრები ცენტრიდან, ასეთი სერტიფიცირება განხორციელდება ერთ-ერთი ქვემოთ მითითებულით:

ა.ა) ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც შეიცავს საჭირო ინფორმაციას და შევსებულია იმ ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, სადაც მდებარეობს წარმოშობის სადგომი;

ა.ბ) სერტიფიკატით, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ N3-ს ან დანართ N4-ს, შევსებული და დამოწმებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, იმ ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, სადაც მდებარეობს წარმოშობის სადგომი;

ბ) ცხოველისთვის, რომელიც გაჰყავთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სადგომიდან, რომელიც ჩართულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლით გათვალისწინებულ საზედამხედველო ქსელში, სერტიფიცირება განხორციელდება ქვემოთ მითითებულიდან ერთ-ერთით:

ბ.ა) ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც შეიცავს საჭირო ინფორმაციას და შევსებულია წარმოშობის სადგომის ავტორიზებული ვეტერინარის მიერ;

ბ.ბ) სერტიფიკატით, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ N3-ს ან დანართ N4-ს, შევსებული და დამოწმებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, წარმოშობის სადგომის ავტორიზებული ვეტერინარის მიერ.

3. შემკრებ ცენტრში სახელმწიფო ვეტერინარი ადგილზე განახორციელებს შემოსული ცხოველების ყველა საჭირო შემოწმებას.

## მუხლი 6

1. სანაშენე ან სასურსათო დანიშნულების ცხოველი ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3-მე-5 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იმყოფებოდეს წარმოშობის სადგომზე სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ბოლო 30 დღე, ან თუ ცხოველის ასაკი 30 დღეზე ნაკლებია - დაბადებიდან. სახელმწიფო ვეტერინარი ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საიდენტიფიკაციო ნომრისა და ოფიციალური ჩანაწერების საფუძველზე უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველები აკმაყოფილებენ აღნიშნულ პირობას და ამასთან, წარმოშობილია ქვეყანაში ან იმპორტირებულია სხვა ქვეყნიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;



ბ) იმპორტირებული ცხოველები, რომლებიც დანიშნულების ადგილზე ჩაყვანამდე და შემდგომ გადაადგილებამდე აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ იქნებიან გადაყვანილი ჯოგში, ვიდრე იმ სადგომზე პასუხისმგებელი ვეტერინარი არ დაადასტურებს, რომ არ არის მოსალოდნელი სადგომის ჯანმრთელობის სტატუსს შეექმნას საფრთხე ამ ცხოველების მიერ;

გ) თუ სადგომზე ცხოველის შემოყვანა მოხდება სხვა ქვეყნიდან და არ მოხდება შემოყვანილი ცხოველის იზოლირება სადგომზე მყოფი სხვა ცხოველებისგან, დაუშვებელია ამ სადგომში არსებული ცხოველებით ვაჭრობა ცხოველის შემოყვანიდან 30 დღის განმავლობაში.

დ) ტრანზიტად მყოფი ცხოველი ავტორიზებულ შემკრებ ცენტრში არ უნდა დარჩეს 6 დღეზე მეტ ხანს.

2. სანაშენე ან სასურსათო დანიშნულების მსხვილფეხა საქონელი ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3-მე-5 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) წარმოშობილი უნდა იყოს ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგიდან და ექვს კვირაზე მეტი ასაკის ცხოველების შემთხვევაში, უარყოფითად რეაგირებდეს კანშიდა ტუბერკულინის ტესტზე, რომელიც ჩატარებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-12-23-ე პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად წამოშობის ჯოგის ან შემკრები ცენტრის დატოვებამდე ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ არანაკლებ 30 დღის განმავლობაში. ტუბერკულინის აღნიშნული კანშიდა ტესტი არ მოითხოვება, თუ ცხოველის წარმოშობის ადგილია ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი ან თუ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში დანერგილია საზედამხედველო ქსელი;

ბ) არაკასტრირებული ცხოველის შემთხვევაში, რომელიც წარმოშობილია ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგიდან და არის 12 თვეზე მეტი ასაკის, ბრუცელების რაოდენობა უნდა იყოს აგლუტინაციის 30 საერთაშორისო ერთეულზე (IU) ნაკლები თითოეულ მილილიტრზე სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტის (ან ნებისმიერი სხვა აღიარებული ტესტის) ჩატარებისას. აღნიშნული ტესტი ჩატარებული უნდა იქნეს წარმოშობის ჯოგის დატოვებამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში და შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2-მე-19 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტი (ან ნებისმიერი სხვა აღიარებული ტესტი) არ მოითხოვება, თუ ცხოველის წარმოშობის ადგილია ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი ან თუ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში დანერგილია საზედამხედველო ქსელი;

გ) წარმოშობილი უნდა იყოს მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან და 12 თვეზე მეტი ასაკის ცხოველის შემთხვევაში, უარყოფითად რეაგირებდეს ტესტზე, რომელიც ჩატარებულია წამოშობის ჯოგის დატოვებამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18 და მე-19 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ტესტი არ მოითხოვება, თუ ცხოველის წარმოშობის ადგილია მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი ან თუ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში დანერგილია საზედამხედველო ქსელი;

დ) წარმოშობის სადგომის დატოვებასა და დანიშნულების ადგილზე ჩაყვანას შორის პერიოდში, არ უნდა ჰქონდეს კონტაქტი იმ მსხვილფეხა საქონელთან, რომელიც აკმაყოფილებს მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს;

ე) ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტესტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს არ უნდა დაექვემდებარონ 30 თვეზე ნაკლები ასაკის, ხორცის წარმოებისათვის განკუთვნილი ის მსხვილფეხა საქონელი;

ე.ა) რომელიც არის ტუბერკულოზის, მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისა და ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სადგომიდან ან ის ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;

ე.ბ) რომელსაც თან ახლავს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ით განსაზღვრული ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი;



ე.გ) რომელიც დაკვლამდე რჩება დაკვირვების ქვეშ;

ე.დ) რომელიც ტრანსპორტირებისას არ იმყოფებოდა კონტაქტში იმ მსხვილფეხა საქონელთან, რომელიც არ არის ამ პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით გასაზღვრული დაავადებებისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან, ამასთან სააგენტო იღებს ყველა საჭირო ზომას ადგილობრივი ჯოგების დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად და მოქმედებს ნიმუშების შემთხვევითი შერჩევის, ინსპექტირებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების სათანადო სისტემა, რომელიც შექმნილია ამ ტექნიკური რეგლამენტის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

3. დასაკლავად განკუთვნილი მსხვილფეხა საქონელი, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3-მე-5 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, წარმოშობილი უნდა იყოს ჯოგიდან, რომელიც ოფიციალურად თავისუფალია როგორც ტუბერკულოზისაგან, ასევე მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან და არაკასტრირებული მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში, ბრუცელოზისგან.

4. დასაშვებია მსხვილფეხა საქონლის დაკვლა იმ ჯოგიდან, რომელიც არ არის ტუბერკულოზისაგან, ბრუცელოზისაგან და მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი, იმ პირობით, რომ ისინი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

## მუხლი 7

ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-20 მუხლის პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულ დაავადებებზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სააგენტოსთვის სავალდებულო და დაუყოვნებელი შეტყობინება.

## მუხლი 8

1. ქვეყანაში ან მისი ტერიტორიის ნაწილზე ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე გადამდები დაავადების არსებობისას, სააგენტოს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო კონტროლის პროგრამა, სადაც აღწერილი იქნება:

ა) ქვეყანაში ამ დაავადების გავრცელება;

ბ) პროგრამის ამოქმედების მიზეზები, დაავადების მნიშვნელობისა და შესაძლო სარგებლის გათვალისწინებით მასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) გეოგრაფიული არეალი, სადაც უნდა განხორციელდეს პროგრამა;

დ) ცხოველის სადგომზე და საჭიროების შემთხვევაში, შემკრებ ცენტრზე გამოსაყენებელი სტატუსის კატეგორიები, თითოეული კატეგორიისათვის საჭირო სტანდარტები და გამოსაყენებელი ტესტების პროცედურები;

ე) პროგრამის მონიტორინგისათვის განსახორციელებელი პროცედურები, რომლის შედეგებიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ უნდა წარედგინოს სამინისტროს;

ვ) ქმედება, რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუკი ცხოველის სადგომი ან შემკრები ცენტრი დაკარგავს თავის სტატუსს;

ზ) ზომები, რომლებსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად ჩატარებული გამოკვლევების შედეგები დადებითი იქნება.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ამტკიცებს სააგენტოს მიერ წარმოდგენილ პროგრამას.

3. სააგენტოს მიერ წარმოდგენილ პროგრამებში საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიტანილი იქნას



## მუხლი 9

1. როდესაც სააგენტო ჩათვლის, რომ ქვეყანა ან მისი ნაწილი თავისუფალია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-3 ქვეპუნქტით განსაზღვრული რომელიმე დაავადებისგან, ის სამინისტროს წარუდგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომელშიც კონკრეტულად აღწერილი/განსაზღვრული იქნება:

- ა) დაავადების არსი და ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული დაავადების გამოვლენის ისტორია;
- ბ) ზედამხედველობის შედეგები, რომელიც ეფუძნება სეროლოგიურ, მიკრობიოლოგიურ, პათოლოგიურ გამოკვლევებს ან ეპიდემიოლოგიურ მოკვლევას;
- გ) ზედამხედველობის პერიოდი;
- დ) საჭიროების შემთხვევაში პერიოდი, რომლის განმავლობაშიც იკრძალებოდა ამ დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაცია და აღნიშნული აკრძალვის გავრცელების გეოგრაფიული არეალი;
- ე) დაავადების არ არსებობის დამადასტურებელი ღონისძიებები/მექანიზმები.

2. სამინისტრო განიხილავს სააგენტოს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

3. სააგენტო სამინისტროს აცნობებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაავადებასთან დაკავშირებულ დეტალებში რაიმე ცვლილების, კერძოდ, დაავადებების ახალი აფეთქების შესახებ.

## მუხლი 10

1. მას შემდეგ რაც შემკრები ცენტრის ბიზნესოპერატორი დარეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართავს სააგენტოს და იგი ვალდებულია განახორციელოს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და გასცეს ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს სულ მცირე შემდეგ პირობებს:

- ა) უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო ვეტერინარის კონტროლის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას;
- ბ) განლაგებული უნდა იყოს ისეთ არეალში, რომელიც არ ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვას ან შეზღუდვას;
- გ) დასუფთავებული და დეზინფიცირებული უნდა იქნეს გამოყენებამდე სახელმწიფო ვეტერინარის მოთხოვნის შესაბამისად;
- დ) შემკრებ ცენტრს ცხოველთა რაოდენობის მიხედვით უნდა გააჩნდეს:

დ.ა) ნაგებობა, რომელიც შემკრებ ცენტრად გამოყენებისას გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის;

დ.ბ) შესაბამისი საშუალებები ცხოველების ჩატვირთვის, ჩამოტვირთვისა და სათანადო სტანდარტების შესაბამისად განთავსებისათვის, მათი გამოკვებისა და დაწყურებისათვის ასევე, საჭირო მოვლა-პატრონობის აღმოსაჩენად; აღნიშნული საშუალებები უნდა ექვემდებარებოდეს დასუფთავებასა და დეზინფექციას;

დ.გ) კლინიკური შემოწმებისათვის საჭირო შესაბამისი ნაგებობები;

დ.დ) იზოლირებისათვის საჭირო შესაბამისი ნაგებობები;

დ.ე) შესაბამისი მოწყობილობები სათაჯსოსა და გადასაყვანი საკრანსპორტო საშუალებების



დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის;

დ.ვ) ფურაჟის, ნაგვისა და ნაკელის შესაბამისი შესანახი სათავსო;

დ.ზ) ჩამდინარე წყლის სათანადო შემკრები სისტემა;

დ.ი) სახელმწიფო ვეტერინარისათვის სამუშაო ადგილი;

ე) უნდა იღებდნენ ტუბერკულოზის, ბრუცელოზის ან ლეიკოზის ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან წარმოშობილ იდენტიფიცირებულ ან ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცხოველებს, ან დასაკლავ ცხოველებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს; ამ მიზნით, ცხოველების მიღებისას, შემკრები ცენტრის მფლობელმა ან მასზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ ისინი იყვნენ სათანადოდ იდენტიფიცირებულები და თან ახლდეთ ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან წარმოდგენილი სახეობებისა და კატეგორიებისთვის შესაბამისი სერტიფიკატები;

ვ) რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს ინსპექტირება ავტორიზებისათვის აუცილებელი მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის დასადგენად;

ზ) უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შესაბამის მოთხოვნებს.

2. შემკრები ცენტრის მფლობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ცხოველების თანხლები დოკუმენტების ან ცხოველების საიდენტიფიკაციო ნომრების საფუძველზე, აწარმოოს რეესტრი ან მონაცემთა ელექტრონული ბაზა და სულ მცირე სამი წლის ვადით შეინახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მფლობელის სახელი/დასახელება, წარმოშობა, იმ მსხვილფეხა საქონლის შემოყვანისა და გაყვანის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ან იმ ღორის წარმოშობის სადგომის ან იმ კოლტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლებიც შედიან ცენტრში და სავარაუდო დანიშნულების ადგილი;

ბ) გადამზიდავის რეგისტრაციის ნომერი, აგრეთვე იმ სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი, რომელსაც მიჰყავს ცხოველები ცენტრში ან აგროვებს მათ ცენტრიდან.

3. თითოეულ ავტორიზებულ შემკრებ ცენტრს სააგენტოს მიერ ენიჭება ავტორიზაციის ნომერი.

4. შემკრები ცენტრზე ავტორიზაციის გაცემისას, შესაძლოა შეიზღუდოს მისი საქმიანობა გარკვეული სახეობით ან სანაშენე და სასურსათო დანიშნულების ცხოველებით ან დასაკლავად განკუთვნილი ცხოველებით.

5. სააგენტო ადგენს და აახლებს ავტორიზაციის მქონე შემკრები ცენტრებისა და მათი ავტორიზაციის ნომრების სიას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯაროდ.

6. სააგენტომ შეიძლება შეაჩეროს ან გააუქმოს ავტორიზაციის მოქმედება ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში. ავტორიზაცია შესაძლოა აღდგეს მას შემდეგ, რაც სააგენტო მიიჩნევს, რომ შემკრები ცენტრი სრულად აკმაყოფილებს ამ პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებს.

7. სამსახურებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, ფუნქციონირების დროს, შემკრებ ცენტრს უნდა ჰყავდეს საკმარისი რაოდენობის ავტორიზებული ვეტერინარი.

## მუხლი 11

1. გადამზიდავი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით პირობებს:

ა) ცხოველების გადაყვანისთვის ის უნდა იყენებდეს ისეთ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც:



ა.ა) მოწყობილი იქნება ისე, რომ ცხოველის ექსკრემენტი, ნაგავი ან ცხოველის საკვები არ გაიბნეს ან გადმოცვივდეს სატრანსპორტო საშუალებიდან;

ა.ბ) დაუყოვნებლივ დასუფთავდება და დეზინფიცირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით ცხოველების ან ცხოველების ჯანმრთელობაზე შესაძლო ზეგავლენის მქონე ნებისმიერი პროდუქტის ყოველი ტრანსპორტირების შემდეგ და თუ საჭიროა, ცხოველების ყოველი ხელახალი ჩატვირთვის წინ;

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს:

ბ.ა) გააჩნდეს დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის შესაბამისი ნაგებობები, მათ შორის ნაგვისა და ნაკელის შესანახი ნაგებობები;

ბ.ბ) წარმოადგინოს დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ეს სამუშაოები სრულდება მესამე მხარის მიერ.

2. გადამზიდავმა უნდა უზრუნველყოს, რომ ცხოველების ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული თითოეული სატრანსპორტო საშუალებისთვის იწარმოებოდეს რეესტრი, რომელშიც შევა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია და შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით:

ა) ცხოველის აყვანის ადგილი, თარიღი და დრო, აგრეთვე იმ სადგომის ან შემკრები ცენტრის სახელწოდება/დასახელება ან ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, საიდანაც ცხოველი აიყვანეს;

ბ) ცხოველის მიყვანის ადგილი, თარიღი და დრო, აგრეთვე ტვირთის მიმღების სახელი/დასახელება ან ორგანიზაციის დასახელება და მისამართი;

გ) გადაყვანილი ცხოველის რაოდენობა და სახეობა;

დ) დეზინფექციის ჩატარების თარიღი და ადგილი;

ე) თანმხლები დოკუმენტაციის დეტალები, მათ შორის ნომერი;

ვ) თითოეული მგზავრობის სავარაუდო ხანგრძლივობა.

3. გადამზიდავმა უნდა უზრუნველყოს, რომ ტვირთი ან ცხოველი არ მოხვდეს ჯანმრთელობის უფრო დაბალი სტატუსის მქონე ცხოველთან კონტაქტში მისი წარმოშობის სადგომის ან შემკრები ცენტრის დატოვებასა და დანიშნულების ადგილზე ჩაყვანას შორის პერიოდში.

4. გადამზიდავმა უნდა უზრუნველყოს, ცხოველის თანმხლებ სათანადო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც ცხოველები გადაჰყავთ გამგზავრების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე ათვლილ არა უმეტეს 65 კმ-მდე მანძილზე.

## მუხლი 12

1. დილერი ვალდებულია დარეგისტრირდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაექვემდებაროს ავტორიზაციას და მიენიჭოს ავტორიზაციის ნომერი სააგენტოს მიერ და აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ პირობებს:

ა) ვაჭრობდეს მხოლოდ ტუბერკულოზისგან, ბრუცელოზისგან და ლეიკოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან წარმოშობილი იდენტიფიცირებული ცხოველით ან დასაკლავად განკუთვნილი ცხოველით, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ პირობებს ან მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს; ამ მიზნით, დილერი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი იყოს სათანადოდ იდენტიფიცირებული და თან ახლდეს სახეობის შესაბამისი ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი;



ბ) აწარმოოს ცხოველის თანმხლები დოკუმენტის ან ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომრის საფუძველზე წარმოებული ჩანაწერები და არანაკლებ სამი წლის ვადით უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციის შენახვა:

ბ.ა) მფლობელის სახელი/დასახელება, მსხვილფეხა საქონლის წარმოშობა, შესყიდვის თარიღი, კატეგორია, საიდენტიფიკაციო ნომერი ან შესყიდული ღორის წარმოშობის სადგომის ან წარმოშობის კოლტის სარეგისტრაციო ნომერი;

ბ.ბ) გადამზიდავის რეგისტრაციის ნომერი ან/და იმ სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველების შეკრებას და დანიშნულების ადგილამდე გადაყვანას;

ბ.გ) შემსყიდველის სახელი/დასახელება და მისამართი და ცხოველის დანიშნულების ადგილი;

ბ.დ) სამარშრუტო გეგმის ასლი ან/და ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატის სერიული ნომერი;

გ) საკუთარ სათავსოში ცხოველის შენახვისას უზრუნველყოს, რომ:

გ.ა) ცხოველზე პასუხისმგებელ პერსონალს ჩაუტარდეს სპეციალური ტრენინგი ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე, ცხოველების მოვლასა და კეთილდღეობაზე;

გ.ბ) საჭიროების შემთხვევაში, ცხოველებზე რეგულარულად განხორციელდეს კონტროლი და ლაბორატორიული გამოკვლევა სახელმწიფო ვეტერინარის მიერ და მიღებული იქნეს ყველა საჭირო ზომა დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

2. სააგენტომ შესაძლოა ავტორიზაცია გასცეს იმ იდენტიფიცირებული ცხოველით ვაჭრობაზე, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, თუ ის პირდაპირ გადაჰყავთ სასაკლაოზე, დაუყოვნებლივ დასაკლავად, დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. აუცილებელი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა არ მოხდეს ამ ცხოველის სხვა ცხოველებთან კონტაქტი სასაკლაოზე მიყვანისას და ის დაიკლას სხვა ცხოველებისგან განცალკევებით.

3. დილერის მიერ თავისი ბიზნესის მიზნებისთვის გამოყენებული სათავსო/სათავსოები უნდა დაექვემდებაროს სააგენტოს ავტორიზაციას, რისთვისაც იგი უნდა აკმაყოფილებდეს ამ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს და მიენიჭოს ავტორიზაციის ნომერი:

ა) იმყოფებოდეს სახელმწიფო ვეტერინარის კონტროლის ქვეშ;

ბ) მდებარეობდეს ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც არ ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვას ან შეზღუდვას;

გ) გააჩნდეს:

გ.ა) საკმარისი ტევადობის სათანადო სათავსოები, განსაკუთრებით, სათავსოები შემოწმებისა და იზოლაციისათვის, რათა გადამდები დაავადების აფეთქების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ყველა ცხოველის იზოლირება;

გ.ბ) სათავსოები ცხოველების ჩამოტვირთვისათვის და საჭიროების შემთხვევაში მათი სათანადო სტანდარტების შესაბამისად განთავსებისათვის, მათი გამოკვებისა და დაწყურებისათვის და საჭირო მოვლა-პატრონობის აღმოსაჩენად; აღნიშნული სათავსოები მოსახერხებელი უნდა იყოს დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის;

გ.გ) ნაგავისა და ნაკელის მისაღებად შესაბამისი ტერიტორია;



გ.დ) ჩამდინარე წყლის სათანადო შემკრები სისტემა;

დ) უნდა იქნეს დასუფთავებული და დეზინფიცირებული გამოყენებამდე სახელმწიფო ვეტერინარის მოთხოვნის შესაბამისად.

4. სააგენტომ შეიძლება შეაჩეროს ან გააუქმოს ავტორიზაცია ამ მუხლის ან ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სხვა შესაბამისი მოთხოვნების ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯანმრთელობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში. ავტორიზაცია შეიძლება აღდგეს მას შემდეგ, რაც სააგენტო ჩათვლის, რომ დილერი სრულად აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ყველა შესაბამის მოთხოვნას.

5. სააგენტომ უნდა განახორციელოს რეგულარული ინსპექტირება, რათა დარწმუნდეს ამ მუხლის მოთხოვნების შესრულებაში.

6. სააგენტო ადგენს და აწარმოებს ავტორიზებული დილერების, მათი ავტორიზაციის ნომრებისა და მათ მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყენებული ავტორიზებული შენობა-ნაგებობების სიას, აახლებს მათ და ხდის საჯაროს.

### მუხლი 13

1. სააგენტომ შეიძლება დანერგოს საზედამხედველო ქსელის სისტემა, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ კომპონენტებს:

ა) ჯოგს/კოლტს;

ბ) მფლობელს ან ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც პასუხისმგებელია სადგომზე;

გ) ავტორიზებულ ან სახელმწიფო ვეტერინარს, რომელიც პასუხისმგებელია სადგომზე;

დ) სასაკლავოსა და ავტორიზებულ შემკრები ცენტრის სახელმწიფო ვეტერინარებს;

ე) დაგნოსტიკურ ლაბორატორიას;

ვ) მონაცემთა ელექტრონულ ბაზას;

ზ) სააგენტოს.

2. საზედამხედველო ქსელის სისტემის ძირითად მიზნებს წარმოადგენს სადგომების ოფიციალური კლასიფიცირება და ამ კლასიფიცირების შენარჩუნება რეგულარული ინსპექტირებით, ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვება და დაავადების მონიტორინგის განხორციელება ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ჯანმრთელობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. თუ ქვეყანაში ფუნქციონირებს საზედამხედველო ქსელის სისტემა, მაშინ იგი სავალდებულოა ყველა სადგომისთვის. მიუხედავად ამისა, სააგენტომ შეიძლება დაუშვას ასეთი ქსელის შექმნა ქვეყნის ნაწილში და სადაც არ იმოქმედებს საზედამხედველო ქსელის სისტემა ცხოველების გადაადგილება ქვეყნის სხვა ნაწილში, რომელიც არ არის ქსელის სისტემის ნაწილი, დაექვემდებარება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. სადგომის მფლობელმა ან პასუხისმგებელმა პირმა უნდა:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების საფუძველზე სააგენტოს მიერ ავტორიზებული ვეტერინარის მომსახურება;

ბ) გამოიძახოს სადგომის ავტორიზებული ვეტერინარი დაუყოვნებლივ, როცა ეჭვობს ინფექციური დაავადების ან ნებისმიერი სხვა დაავადების შემთხვევაზე, რომელიც ექვემდებარება შეტყობინებას;



გ) შეატყობინოს ავტორიზებულ ვეტერინარს მის სადგომში ცხოველების შეყვანის ყველა შემთხვევის შესახებ;

დ) განახორციელოს ცხოველების იზოლირება თავის სადგომზე შეყვანამდე, რათა საშუალება მისცეს ავტორიზებულ ვეტერინარს შეამოწმოს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს სავალდებულო გამოკვლევები შესაძლებელია თუ არა სადგომის სტატუსის შენარჩუნება.

5. ავტორიზებული ვეტერინარი, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმყოფება სააგენტოს კონტროლის ქვეშ და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) პირობებს ვეტერინარის საქმიანობის განსახორციელებლად;

ბ) არ უნდა გააჩნდეს ფინანსური ინტერესები ან ოჯახური კავშირები სადგომის მფლობელთან ან მასზე პასუხისმგებელ პირთან;

გ) უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა ცხოველების ჯანმრთელობის სფეროში, როცა საქმე ეხება ცხოველების წარმოდგენილ სახეობებს, რაც გულისხმობს, რომ:

გ.ა) მან რეგულარულად უნდა განახლოს თავისი ცოდნა, განსაკუთრებით, ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის მოთხოვნებთან მიმართებაში;

გ.ბ) ის უნდა აკმაყოფილებდეს სააგენტოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად;

გ.გ) მან უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და დახმარება აღმოუჩინოს სადგომის მფლობელს ან მასზე პასუხისმგებელ პირს, რათა ყველა ზომა იქნას მიღებული სადგომის სტატუსის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით, სააგენტოსთან შეთანხმებული პროგრამების საფუძველზე;

გ.დ) მან უნდა უზრუნველყოს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რომლებიც დაკავშირებულია:

გ.დ.ა) ჯოგის, შემოყვანილი და გაყვანილი ცხოველის იდენტიფიკაციასა და ჯანმრთელობის სერტიფიკაციასთან;

გ.დ.ბ) ცხოველის ინფექციური დაავადებებსა და ცხოველის ჯანმრთელობასა ან კეთილდღეობასთან, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობისთვის სხვა სახის რისკ ფაქტორის შესახებ სავალდებულო შეტყობინებასთან;

გ.დ.გ) ცხოველის სიკვდილიანობის მიზეზების მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში მოკვლევასა და მისი გაგზავნის ადგილის განსაზღვრასთან;

გ.დ.დ) ჯოგისა და მეცხოველეობის საწარმოო ერთეულების ჰიგიენურ პირობებთან.

გ.ე) თუ სისტემის გამართული მუშაობა მოითხოვს, სააგენტომ შეიძლება შეზღუდოს ვეტერინარების ვალდებულება სადგომების განსაზღვრული რაოდენობით ან კონკრეტული გეოგრაფიული არეალით.

გ.ვ) სააგენტო ადგენს ავტორიზებული ვეტერინარებისა და ქსელში მონაწილე ავტორიზებულ სადგომების სიას. თუ სააგენტო ჩათვლის, რომ ქსელის მონაწილე აღარ აკმაყოფილებს ზემოთ განსაზღვრულ პირობებს, ის შეაჩერებს ან გააუქმებს აღიარებას.

6. მონაცემთა ელექტრონული ბაზა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) თითოეული ცხოველის:

ა.ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებულ საიდენტიფიკაციო ნომერს;



ა.ბ) დაბადების თარიღს;

ა.გ) სქესს;

ა.დ) ჯიშს ან ბეწვის ფერს;

ა.ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებულ დედის საიდენტიფიკაციო ნომერს ან სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული ცხოველის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ცხოველისთვის მინიჭებულ ინდივიდუალურ საიდენტიფიკაციო ნომერს;

ა.ვ) დაბადების სადგომის სარეგისტრაციო ნომერს;

ა.ზ) ყველა იმ სადგომის სარეგისტრაციო ნომერს, სადაც ცხოველი იმყოფებოდა და სადგომის ყოველი შეცვლის თარიღებს;

ა.თ) სიკვდილის ან დაკვლის თარიღს.

ა.ი) ელექტრონული იდენტიფიკატორის სახე, იმ შემთხვევაში თუ ხდება ცხოველის მიმართ მისი გამოყენება.

ბ) თითოეული სადგომის:

ბ.ა) არაუმეტეს 11 ციფრისაგან შემდგარ რეგისტრაციის ნომერს;

ბ.ბ) მფლობელის სახელს/დასახელებასა და მისამართს;

გ) შემდეგ მონაცემებს, რომელიც ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი უნდა იქნეს:

გ.ა) სადგომზე წარმოდგენილი მსხვილფეხა საქონლის ყველა სახეობის ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომერი ან, ღორისებრთა სახეობის ცხოველების ჯგუფის შემთხვევაში, წარმოშობის სადგომის ან წარმოშობის კოლტის სარეგისტრაციო ნომერი და საჭიროების შემთხვევაში, ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატის ნომერი;

გ.ბ) მსხვილფეხა საქონლის ყველა სახეობის ცხოველისათვის სადგომის ყოველი ცვლილება, დაბადების სადგომიდან დაწყებული ან იმპორტირებული ცხოველის შემთხვევაში, იმპორტიორის სადგომიდან დაწყებული; ღორის ჯგუფებისათვის - უკანასკნელი სადგომის ან უკანასკნელი კოლტის სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო იმპორტირებული ღორის შემთხვევაში - იმპორტიორი სადგომი;

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემები ინახება მონაცემთა ელექტრონული ბაზაში მსხვილფეხა საქონლის სიკვდილიდან სამი თანმიმდევრული წელი ან, ღორებზე ჩანაწერების შემთხვევაში, ჩანაწერის გაკეთებიდან - სამი თანმიმდევრული წელი. თუმცა ღორის შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ „გ“ ქვეპუნქტები და საქართველო კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი მოთხოვნები.

8. საზედამხედველო ქსელის ყველა მონაწილე, გარდა ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პირებისა, ანგარიშვალდებულია სააგენტოს წინაშე. სააგენტო პასუხისმგებელია ქსელის დაყენებაზე და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის უნდა ჩაატაროს რეგულარული შემოწმებები.

9. ქვეყანის მთელ ტერიტორიაზე ამ მუხლით განსაზღვრული საზედამხედველო ქსელის სისტემის დანერგვის შემთხვევაში, სააგენტოს უფლება ეძლევა არ გამოიყენოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები, ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ცხოველის ქვეყნის შიგნით გადაადგილებისას.

10. ავტორიზებული ვეტერინარის, სადგომზე პასუხისმგებელი პირის ან სადგომის მესაკუთრის და სისტემაში ჩართული ნებისმიერი მონაწილის, მათ შორის ცხოველის ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილი პირის უფლებები და ვალდებულებები



## თავი II

### ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგი

#### მუხლი 14

1. ამ თავის მიზნებისათვის „მსხვილფეხა საქონელი“ ნიშნავს ყველა მსხვილფეხა საქონელს, გარდა იმ ცხოველისა, რომელიც მონაწილეობას იღებს კულტურულ ან სპორტულ ღონისძიებებში.

2. ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალია მსხვილფეხა საქონლის ჯოგი, თუ:

ა) არც ერთ ცხოველს არ აღენიშნება ტუბერკულოზის კლინიკური ნიშნები;

ბ) ექვს კვირაზე მეტი ასაკის ყველა მსხვილფეხა საქონელს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა ტუბერკულინის არანაკლებ ორ ოფიციალურ კანშიდა გამოკვლევაზე, რომელიც ჩატარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად: პირველი – ჯოგში ნებისმიერი ინფექციის აღმოფხვრიდან ექვსი თვის შემდეგ, ხოლო მეორე – ექვსი თვის მოგვიანებით, თუ ჯოგი შეგროვდა მხოლოდ ისეთი ცხოველებისგან, რომლებიც წარმოშობით არიან ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან, პირველი გამოკვლევა ტარდება შეგროვებიდან არანაკლებ 60 დღის შემდეგ, ხოლო მეორე – არ არის სავალდებულო;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირველი გამოკვლევის დასრულების შემდეგ, ექვს კვირაზე მეტი ასაკის არც ერთი ცხოველი არ შეჰყავთ ჯოგში, ვიდრე არ დაუდგინდება უარყოფითი რეაქცია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად გაკეთებულ და შეფასებულ ტუბერკულინის კანშიდა გამოკვლევაზე, რომელიც ჩატარდა ცხოველის ჯოგში შემოყვანამდე 30 დღით ადრე ან ჯოგში შემოყვანიდან 30 დღის შემდეგ; უკანასკნელ შემთხვევაში უნდა მოხდეს ცხოველ(ებ)ის ფიზიკური იზოლირება ჯოგის სხვა ცხოველებისგან, ისე რომ უარყოფითი რეაქციის დადგენამდე თავიდან იქნეს აცილებული მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტი სხვა ცხოველებთან.

3. სააგენტომ შეიძლება არ მოითხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამოკვლევის ჩატარება ქვეყანაში გადასაადგილებელ ცხოველზე იმ შემთხვევაში, თუ ცხოველი არის ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან.

4. მსხვილფეხა საქონლის ჯოგი შეინარჩუნებს ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალის სტატუსს, თუ:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების მოქმედება გაგრძელდება;

ბ) სადგომში შეყვანილი ყველა ცხოველი წარმოშობილია ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსის მქონე ჯოგიდან;

გ) სადგომში მყოფი ყველა ცხოველი, გარდა ამ სადგომში დაბადებული ექვს კვირაზე ნაკლები ასაკის ხზობისა, ექვემდებარება ტუბერკულინით რეგულარულ გამოკვლევას წლიური ინტერვალებით ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად. თუმცა, სააგენტოს შეუძლია ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილისთვის, რომელშიც მსხვილფეხა საქონლის ყველა ჯოგზე ვრცელდება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო სახელმწიფო პროგრამა, შეცვალოს რეგულარული გამოკვლევის ჩატარების სიხშირე შემდეგნაირად:

გ.ა) თუ ტუბერკულოზით დაინფიცირებულად დადასტურებული მსხვილფეხა საქონლის ჯოგის წლიური საშუალო ოდენობა – რომელიც განისაზღვრება ყოველი წლის 31 დეკემბერს – არ აღემატება განსაზღვრული ტერიტორიის შიგნით არსებული ყველა ჯოგის ოდენობის 1%-ს, უკანასკნელი წლის ორი საკონტროლო პერიოდის განმავლობაში, ჯოგის რეგულარულ გამოკვლევებს შორის ინტერვალი



შეიძლება გაიზარდოს ორ წლამდე და იზოლირებულ ეპიდემიოლოგიურ ერთეულში მოთავსებული სუქებაზე მყოფი მამრი ცხოველები შეიძლება გათავისუფლდნენ ტუბერკულოზის გამოკვლევისგან, თუ ისინი არიან ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგისგან და სააგენტო უზრუნველყოფს, რომ სუქებაზე მყოფი მამრი ცხოველები არ იქნებიან გამოყენებული სანაშენედ და პირდაპირ გაიგზავნიან დასაკლავად;

გ.ბ) თუ ტუბერკულოზით დაინფიცირებულად დადასტურებული მსხვილფეხა საქონლის ჯოგის წლიური საშუალო ოდენობა – რომელიც განისაზღვრება ყოველი წლის 31 დეკემბერს - არ აღემატება განსაზღვრული ტერიტორიის შიგნით არსებული ყველა ჯოგის ოდენობის 0,2%-ს უკანასკნელი ორი ორწლიანი საკონტროლო პერიოდის განმავლობაში, რეგულარულ გამოკვლევებს შორის ინტერვალი შეიძლება გაიზარდოს სამ წლამდე ან/და ასაკი, როდესაც ცხოველი აღნიშნულ გამოკვლევებს უნდა დაექვემდებაროს შეიძლება გაიზარდოს 24 თვემდე;

გ.გ) თუ ტუბერკულოზით დაინფიცირებულად დადასტურებული მსხვილფეხა საქონლის ჯოგის წლიური საშუალო ოდენობა – რომელიც განისაზღვრება ყოველი წლის 31 დეკემბერს - არ აღემატება განსაზღვრული ტერიტორიის შიგნით არსებული ყველა ჯოგის ოდენობის 0,1%-ს უკანასკნელი ორი სამწლიანი საკონტროლო პერიოდის განმავლობაში, რეგულარულ გამოკვლევებს შორის ინტერვალი შეიძლება გაიზარდოს ოთხ წლამდე ან თუ შემდეგი პირობები დაკმაყოფილდა, სააგენტომ შეიძლება ჯოგები გაათავისუფლოს ტუბერკულოზით გამოკვლევისგან ერთ-ერთ ქვემოთ განსაზღვრულ შემთხვევაში:

გ.გ.ა) ჯოგში შეყვანამდე ყველა მსხვილფეხა საქონელს უნდა ჰქონდეს უარყოფითი რეაქცია ტუბერკულოზის კანშიდა გამოკვლევაზე;

გ.გ.ბ) ყველა დაკლული მსხვილფეხა საქონელი უნდა შემოწმდეს ქსოვილის ტუბერკულოზით გამოწვეულ დაზიანებებზე და ნებისმიერი ასეთი დაზიანება უნდა დაექვემდებაროს ჰისტოპათოლოგიურ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას ტუბერკულოზის დიაგნოზის დასადგენად.

გ.დ) თუ დაავადების მაჩვენებელი გაიზარდა, სააგენტოს შეუძლია ასევე ქვეყანაში ან მის ნაწილში გაზარდოს ტუბერკულოზით გამოკვლევის სიხშირე.

5. ჯოგს შეუჩერდება ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი ერთ-ერთ ქვემოთ განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ :

ა) ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობები აღარ სრულდება;

ბ) ერთი ან მეტი ცხოველი მიჩნეულია ტუბერკულოზის ტესტზე დადებითად მორეაგირედ ან დაკვლისშემდგომი შემოწმებისას ტუბერკულოზის შემთხვევაზე ჩნდება ეჭვი;

გ) ჯოგში შემავალ საქონელს გააჩნია დაუდგენელი სტატუსი ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ჯოგის სტატუსი რჩება შეჩერებული ცხოველის სტატუსის გარკვევამდე. აღნიშნული ცხოველები იზოლირებული უნდა იქნენ ჯოგის სხვა ცხოველებისგან, სანამ მათი სტატუსი არ გაირკვევა 42 დღის შემდეგ შემდგომი გამოკვლევის ან დაკვლისშემდგომი შემოწმების ჩატარებით და ლაბორატორიული გამოკვლევით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულის გაუთვალისწინებლად, სააგენტო ატარებს ჯოგის რეგულარულ გამოკვლევას ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლით განსაზღვრული ტუბერკულოზის შედარებითი გამოკვლევის გამოყენებით და ისეთი ჯოგის შემთხვევაში, რომელშიც არ აღმოჩენილა დადასტურებული რეაქციის მქონე ცხოველი, სულ მცირე სამი წლის განმავლობაში, სააგენტომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ჯოგში სხვა ცხოველების შემოყვანის შეუზღუდველობაზე, თუ ნებისმიერი გაურკვეველი რეაქციის მქონე ცხოველის სტატუსი გაირკვევა 42 დღის შემდეგ, გამოკვლევის ჩატარებით და სადგომიდან არც ერთი ეს ცხოველი არ დაიშვება ქვეყნის შიგნით ვაჭრობაზე, სანამ რომელიმე გაურკვეველი რეაქციის მქონე ცხოველის სტატუსი არ გაირკვევა. თუ შემდგომი ტესტირების შედეგად, რომელიმე ცხოველი გამოავლენს დადებით რეაქციას ან მისი რეაქცია კვლავ გაურკვეველი დარჩება, გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პირობები. თუ დაავადების არსებობა შემდგომში დადასტურდება, ყველა ცხოველი, რომელმაც ჯოგის გამოკვლევამდე დატოვა სადგომი, უნდა იქნეს



მიკვლეული და გამოკვლეული.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ცხოველს მიიჩნევენ ტუბერკულოზის ტესტზე დადებითი რეაქციის მქონედ, ხდება ჯოგიდან მისი მოცილება და დაკვლა. სათანადო დაკვლისშემდგომი, ლაბორატორიული გამოკვლევები და ეპიდემიოლოგიური მოკვლევები ტარდება დადებითი რეაქციის მქონე საქონელზე ან დაავადებაზე საექვო საქონელის ტანხორცზე. ჯოგის სტატუსი რჩება შეჩერებული იმ დრომდე, სანამ ყველა ლაბორატორიული შემოწმება არ დასრულდება. თუ ტუბერკულოზის შემთხვევა არ დადასტურდა, შეჩერებული ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი შეიძლება აღდგეს მას შემდეგ, რაც დადებითი რეაქციის მქონე ცხოველის ჯოგიდან მოცილებიდან სულ მცირე 42 დღის შემდეგ, ექვს კვირაზე მეტი ასაკის ცხოველებს ჩაუტარდებათ გამოკვლევა და დაუდგინდებათ უარყოფითი რეაქცია.

8. ჯოგის ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი გაუქმდება, თუ დადასტურდება ტუბერკულოზის შემთხვევა ლაბორატორიული გამოკვლევის დროს *M.bovis* გამოყოფით. სააგენტომ ასევე შეიძლება გააუქმოს სტატუსი ერთ-ერთ ქვემოთ განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ:

ა) ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობები აღარ სრულდება;

ბ) დაკვლისშემდგომი შემოწმებისას სახეზეა ქსოვილის ტუბერკულოზით გამოწვეული კლასიკური დაზიანებები;

გ) ეპიდემიოლოგიური მოკვლევა დაადგენს ინფექციის მოსალოდნელობას;

დ) სხვა რაიმე მიზეზით, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულოზის კონტროლის მიზნისთვის.

9. სააგენტომ უნდა განახორციელოს ყველა იმ ჯოგის მიკვლევადობა და შემოწმება, რომელიც მიჩნეულია ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულად. ჯოგის ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი რჩება გაუქმებულად, ვიდრე არ დასრულდება შენობებისა და ინვენტარის დასუფთავება და დეზინფექცია და ექვს კვირაზე მეტი ასაკის ყველა ცხოველი გამოავლენს უარყოფით რეაქციას ტუბერკულოზის სულ მცირე ორ თანმიმდევრულ გამოკვლევაზე, აქედან პირველი უნდა ჩატარდეს უკანასკნელი დადებითი რეაქციის მქონე ცხოველის მოცილებიდან არანაკლებ 60 დღის, ხოლო მეორე – არანაკლებ ოთხი თვისა და არაუმეტეს 12 თვის შემდეგ .

10. ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი შეიძლება გამოცხადდეს ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფლად, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ტუბერკულოზით დაინფიცირებულად დადასტურებული მსხვილფეხა საქონლის ჯოგების რაოდენობა არ აღემატება ყველა ჯოგის ოდენობის 0,1%-ს ყოველ წლიურად ექვსი თანმიმდევრული წლის განმავლობაში და სულ მცირე ჯოგების 99,9%-მა მოიპოვა ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი ყოველ წელს ექვსი თანმიმდევრული წლის განმავლობაში, ამ უკანასკნელი პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა ხდება ყოველი კალენდარული წლის 31 დეკემბერს;

ბ) თითოეული მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) ყველა დაკლული მსხვილფეხა საქონელი ექვემდებარება ოფიციალურ დაკვლისშემდგომ შემოწმებას;

დ) შესრულებულია ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსის შეჩერებისა და გაუქმების პროცედურები.

11. ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი ინარჩუნებს ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფალ სტატუსს, თუ სრულდება ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პირობები. მიუხედავად ამისა, თუ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელიც ტუბერკულოზისგან ოფიციალურად თავისუფლად იყო აღიარებული, ტუბერკულოზითან მიმართებაში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, შეიძლება მიღებული იქნეს გადაწყვეტილება სტატუსის შეჩერების ან გაუქმების შესახებ იქამდე, სანამ არ შესრულდება ამ რეგულაციით დადგინილი შესაბამისი მოთხოვნები.



### თავი III

## ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი და ბრუცელოზისაგან თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგი

### მუხლი 15

1. ამ თავის მიზნებისთვის „მსხვილფეხა საქონელი“ ნიშნავს ყველა მსხვილფეხა საქონელს, გარდა ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან წარმოშობილი სუქებაზე მქყოფი მამრისა, რომელზეც სააგენტო უზრუნველყოფს, რომ არ იქნებიან გამოყენებული სანაშენედ და პირდაპირ გაიგზავნიებიან დასაკლავად.

2. მსხვილფეხა საქონლის ჯოგი ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალია თუ:

ა) მასში არ შედის მსხვილფეხა საქონელი, რომელიც აკრილია ბრუცელოზზე, გარდა მდებრი ცხოველებისა, რომლებიც ვაქცინირებულ იყვნენ არანაკლებ 3 წლის წინ;

ბ) არცერთ მსხვილფეხა საქონელს არ აღენიშნებოდა ბრუცელოზის კლინიკური ნიშნები არანაკლებ ექვსი თვის განმავლობაში;

გ) 12 თვეზე მეტი ასაკის ყველა მსხვილფეხა საქონელი დაექვემდებარა გამოკვლევის ჩატარების ქვემოთ განსაზღვრული სქემიდან ერთ-ერთს და გამოავლინა უარყოფითი რეაქცია, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად:

გ.ა) ამ მუხლის 26-ე პუნქტით განსაზღვრული ორი სეროლოგიური ტესტი, რომელიც ტარდება სამ თვეზე მეტი და 12 თვეზე ნაკლები ინტერვალით;

გ.ბ) სამი ტესტი რძის ნიმუშებზე, სამ თვიანი ინტერვალებით, რომელსაც მოსდევს სულ მცირე ექვსი კვირის შემდეგ ამ მუხლის 26-ე პუნქტით განსაზღვრული სეროლოგიური ტესტი;

დ) ნებისმიერი მსხვილფეხა საქონელი, რომელიც შეჰყავთ ჯოგში არის ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსის მქონე ჯოგიდან და 12 თვეზე მეტი ასაკის მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად, სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტის ჩატარებისას, ბრუცელების ტიტრის მაჩვენებელი თითოეულ მილილიტრზე ნაკლებია აგლუტინაციის 30 IU –ზე ან სხვა რომელიმე შესაბამის აღიარებულ გამოკვლევაზე უარყოფითი რეაქცია გამოავლინა ჯოგში შეყვანამდე ან შეყვანის შემდეგ 30 დღის განმავლობაში: უკანასკნელ შემთხვევაში, ცხოველი ფიზიკურად იზოლირებული უნდა იქნეს ჯოგის სხვა ცხოველებისგან ისე, რომ უარყოფითი რეაქციის დადგენამდე თავიდან იქნეს აცილებული მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტი სხვა ცხოველებთან.

3. მსხვილფეხა საქონლის ჯოგი შეინარჩუნებს ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალ სტატუსს თუ:

ა) ქვემოთ განსაზღვრული გამოკვლევის სქემიდან ერთ-ერთი ხორციელდება წლიურად და დგინდება უარყოფითი შედეგები ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად:

ა.ა) რძის რგოლური რეაქციის ტესტით, სამჯერადი გამოკვლევით, სულ მცირე სამთვიანი ინტერვალებით;

ა.ბ) რძის სამჯერადი გამოკვლევით ELISA , სულ მცირე სამთვიანი ინტერვალებით;

ა.გ) რძის რგოლური რეაქციის ტესტით, ორჯერადი გამოკვლევით არანაკლებ სამთვიანი ინტერვალებით, რომელსაც სულ მცირე ექვსი კვირის შემდეგ მოჰყვება ამ მუხლის 26-ე პუნქტით



## განსაზღვრული სეროლოგიური ტესტი;

ა.დ) რძის ორჯერადი გამოკვლევით ELISA ტესტით, არანაკლებ სამთვიანი ინტერვალებით, რომელსაც არანაკლებ ექვსი კვირის შემდეგ მოჰყვება ამ მუხლის 26-ე პუნქტით განსაზღვრული სეროლოგიური ტესტი;

ა.ე) ორი სეროლოგიური ტესტით, რომელიც ტარდება სულ მცირე სამი და არა უმეტეს 12 თვიანი ინტერვალებით.

ბ) ყველა მსხვილფეხა საქონელი, რომელიც შეჰყავთ ჯოგში, წარმოშობილია ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსის მქონე ჯოგიდან და 12 თვეზე მეტი ასაკის მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად, სისხლის შრატის აგლუტინაციის რეაქციით გამოკვლევის ჩატარებისას, ბრუცელას ტიტრის მაჩვენებელი თითოეულ მილილიტრში ნაკლებია აგლუტინაციის 30 IU-ზე ან სხვა რომელიმე შესაბამის აღიარებულ გამოკვლევაზე უარყოფითი რეაქცია გამოავლინა ჯოგში შეყვანამდე ან შეყვანის შემდეგ 30 დღის განმავლობაში; უკანასკნელ შემთხვევაში, ცხოველი ფიზიკურად იზოლირებული უნდა იქნეს ჯოგის სხვა ცხოველებისგან ისე, რომ უარყოფითი რეაქციის დადგენამდე თავიდან იქნეს აცილებული მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტი სხვა ცხოველებთან.

4. მიუხედავად ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულისა, სააგენტოს შეუძლია ქვეყნის ან ქვეყნის ნაწილისთვის, რომელიც ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი არ არის, მაგრამ სადაც მსხვილფეხა საქონლის ყველა ჯოგზე ვრცელდება ბრუცელოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, შეცვალოს რეგულარული გამოკვლევის ჩატარების სიხშირე შემდეგნაირად:

ა) იქ, სადაც დაინფიცირებულია მსხვილფეხა საქონლის ჯოგების რაოდენობის არაუმეტეს 1%, შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს რძის რგოლური რეაქციის ტესტით ორჯერადი გამოკვლევა ან რძის ELISA ტესტებით გამოკვლევა ყოველ წელს სულ მცირე სამთვიანი ინტერვალებით, ან ერთი სეროლოგიური ტესტი;

ბ) იქ, სადაც, მსხვილფეხა საქონლის ჯოგების რაოდენობის სულ მცირე 99,8% აღიარებულია, როგორც ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი, არანაკლებ 4 წლის განმავლობაში, შემოწმებებს შორის ინტერვალის შეიძლება გაიზარდოს ორ წლამდე თუ გამოკვლევა ჩატარდება 12 თვეზე მეტი ასაკის ყველა ცხოველს, ან გამოკვლევა შეიძლება შეიზღუდოს 24 თვეზე მეტი ასაკის ცხოველებით თუ ჯოგზე გრძელდება ყოველწლიური გამოკვლევა. შემოწმებები უნდა ჩატარდეს ამ მუხლის 26-ე პუნქტით განსაზღვრული სეროლოგიური გამოკვლევებიდან ერთ-ერთის გამოყენებით.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამოკვლევა არ არის სავალდებულო ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, სადაც ბრუცელოზით დაინფიცირებული მსხვილფეხა საქონლის ოდენობა არ აღემატება 0,2%-ს სულ მცირე ორი წლის განმავლობაში, საქონელი წარმოშობილია ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან ქვეყნის ან ქვეყნის ნაწილის ფარგლებში და ტრანსპორტირების დროს არ ჰქონია კონტაქტი უფრო დაბალი სტატუსის მქონე მსხვილფეხა ცხოველთან.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილის მიუხედავად, მსხვილფეხა საქონელი ბრუცელოზისგან თავისუფალი მსხვილფეხა საქონლის ჯოგიდან შეიძლება შეყვანილ იქნეს ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალ ჯოგში, თუ ის არის სულ მცირე 18 თვის და აკრილია ბრუცელოზზე, ვაქცინაცია ჩატარებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი წლის წინ. ასეთ მსხვილფეხა საქონელში, ჯოგში შეყვანამდე, 30 დღის განმავლობაში ბრუცელას ტიტრის მაჩვენებელი ნაკლები უნდა იყოს აგლუტინაციის 30 IU-ზე თითოეულ მილილიტრში და ავლენდეს უარყოფით რეაქციას კომპლემენტის ფიქსაციის ტესტზე ან სხვა რომელიმე შესაბამის აღიარებულ გამოკვლევაზე.

7. თუ მდებრი მსხვილფეხა საქონელი ბრუცელოზისგან თავისუფალი ჯოგიდან შეჰყავთ ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალ ჯოგში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულის შესაბამისად, ჯოგი ითვლება ბრუცელოზისგან თავისუფლად ორი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მოხდა ბოლო ვაქცინირებული ცხოველის შეყვანა ჯოგში.

8. ჯოგს შეუჩერდება ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი ერთ-ერთი ქვემოთ



მითითებული შემთხვევაში, თუ:

ა) ამ მუხლის პირველი-მე-7 პუნქტებით განსაზღვრული პირობები აღარ სრულდება;

ბ) ლაბორატორიული გამოკვლევისა და კლინიკური ნიშნების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ერთი ან მეტი მსხვილფეხა საქონელი საეჭვოა ბრუცელოზზე და საეჭვო ცხოველები დაკლეს ან მოახდინეს მათი იზოლირება ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტი სხვა ცხოველებთან.

9. თუ ცხოველი უკვე დაკლეს და მისი ლაბორატორიული გამოკვლევა შეუძლებელია, შეჩერებული სტატუსი შეიძლება აღდგეს თუ ჯოგში არსებულ 12 თვეზე მეტი ასაკის ყველა მსხვილფეხა ცხოველზე ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად ჩატარებული სისხლის შრატის აგლუტინაციის ორი ტესტის შედეგად ბრუცელას ტიტრის მაჩვენებელი ნაკლებია აგლუტინაციის 30 IU-ზე თითოეულ მილილიტრში. პირველი ტესტი ტარდება ცხოველის მოცილებიდან სულ მცირე 30 დღის შემდეგ და მეორე სულ მცირე 60 დღის შემდეგ.

10. თუ მოხდა ცხოველის იზოლირება ჯოგში არსებული სხვა ცხოველებისგან, მისი დაბრუნება ჯოგში და ჯოგის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია ქვემოთ განსაზღვრული ერთ-ერთი პირობით:

ა) სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტით, ბრუცელას ტიტრის მაჩვენებელი ნაკლები უნდა იყოს აგლუტინაციის 30 IU-ზე თითოეულ მილილიტრში და ავლენდეს უარყოფით რეაქციას კომპლემენტის ფიქსაციის ტესტზე;

ბ) ავლენდეს უარყოფითი რეაქციას აღიარებული გამოკვლევების სხვა კომბინაციებზე.

11. ჯოგს ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი მოეხსნება, თუ ლაბორატორიული გამოკვლევებისა ან ეპიდემიოლოგიური მოკვლევის შედეგად დადასტურდება ჯოგში ბრუცელას ინფექცია.

12. ჯოგის სტატუსი აღდგება, როდესაც დაიკვლება დაავადების აფეთქებისას ჯოგში მყოფი ყველა მსხვილფეხა ცხოველი ან ჯოგი დაექვემდებარება საკონტროლო შემოწმებას და 12 თვეზე მეტი ასაკის ყველა ცხოველი გამოავლენს უარყოფით რეაქციას ორ, თანმიმდევრულ, 60 დღის ინტერვალით ჩატარებულ გამოკვლევაზე. აქედან, პირველი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს ჯოგიდან დადებითი რეაქციის მქონე უკანასკნელი ცხოველის მოცილებიდან არანაკლებ 30 დღის შემდეგ.

13. იმ მსხვილფეხა ცხოველის შემთხვევაში, რომელიც მაკედ იყო დაავადების აფეთქებისას, საბოლოო შემოწმება უნდა ჩატარდეს დაავადების აფეთქებისას მაკედ მყოფი უკანასკნელი ცხოველის მშობიარობიდან არანაკლებ 21 დღის შემდეგ.

14. მსხვილფეხა საქონლის ჯოგი ბრუცელოზისგან თავისუფალია, თუ ის აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირობებს და ვაქცინაცია ჩატარდა შემდეგნაირად:

ა) მდედრი მსხვილფეხა ცხოველები აიცრა ერთ-ერთი ქვემოთ მითითებულით:

ა.ა) ექვსი თვის ასაკამდე, ცოცხალი ვაქცინით, შტამი 19;

ა.ბ) 15 თვის ასაკამდე, ოფიციალურად აღიარებული ინაქტივირებული 45/20 ადიუვანტური ვაქცინით;

ა.გ) სხვა აღიარებული ვაქცინით;

ბ) 30 თვეზე ნაკლები ასაკის მსხვილფეხა საქონელი, რომელიც აიცრა ცოცხალი ვაქცინით, შტამი 19, სისხლის შრატის აგლუტინაციის რეაქციით გამოკვლევის შედეგი შეიძლება იყოს აგლუტინაციის თითოეულ მილილიტრში 30 IU –ზე მეტი, მაგრამ 80 IU–ზე ნაკლები, იმ პირობით, რომ კომპლემენტის ფიქსაციის ტესტის შედეგი მდედრების შემთხვევაში, რომლებიც აიცრა არანაკლებ 12 თვით ადრე, უნდა იყოს ნაკლები 30 EEC ერთეულზე, ან ნაკლები 20 EEC ერთეულზე ყველა სხვა შემთხვევაში.



15. მსხვილფეხა საქონლის ჯოგი შეინარჩუნებს ბრუცელოზისგან თავისუფალი ჯოგის სტატუსს , თუ:

ა) ის ექვემდებარება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-4 პუნქტით განსაზღვრული გამოკვლევის სქემიდან ერთ-ერთს;

ბ) ჯოგში შესული მსხვილფეხა საქონელი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, ან ქვემოთ მითითებულ ერთ-ერთს:

ბ.ა) შემოსულია ბრუცელოზისგან თავისუფალი სტატუსის მქონე ჯოგიდან და 12 თვეზე მეტი ასაკის მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტის შედეგი ჯოგში შეყვანამდე 30 დღის განმავლობაში ან ჯოგში შეყვანიდან იზოლირებულად ყოფნისას, ნაკლებია აგლუტინაციის 30 IU-ზე თითოეულ მილილიტრში და კომპლემენტის ფიქსაციის ტესტის შედეგი უარყოფითია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლით განსაზღვრულის შესაბამისად;

ბ.ბ) შემოსულია ბრუცელოზისგან თავისუფალი სტატუსის მქონე ჯოგიდან, არის 30 თვეზე ნაკლები ასაკის და თუ სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტის შედეგი მეტია 30 IU-ზე, მაგრამ ნაკლებია 80 IU-ზე თითოეულ მილილიტრში, აცრილია ცოცხალი ვაქცინით, შტამი 19, იმ პირობით, რომ კომპლემენტის ფიქსაციის ტესტის შედეგი 12 თვეზე ნაკლები ხნით ადრე აცრილი მდედრების შემთხვევაში უნდა იყოს ნაკლები 30 EEC ერთეულზე ან ნაკლები 20 EEC ერთეულზე ყველა სხვა შემთხვევაში.

16. ჯოგს შეუჩერდება ბრუცელოზისგან თავისუფალი სტატუსი ქვემოთ განსაზღვრული ერთ-ერთი პირობით, თუ:

ა) ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით განსაზღვრული პირობები არ სრულდება;

ბ) ლაბორატორიული გამოკვლევებისა ან კლინიკური ნიშნების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ერთ ან მეტ 30 თვეზე მეტი ასაკის მსხვილფეხა საქონელი საექვოა ბრუცელოზზე, საექვო ცხოველი დაკლეს ან მოახდინეს მისი იზოლირება ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტი სხვა ცხოველებთან.

17. სადაც მოხდა ცხოველის იზოლირება, მისი დაბრუნება ჯოგში და ჯოგის სტატუსის აღდგენა შეიძლება თუ შემდგომში სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტის შედეგად ბრუცელას ტიტრის მაჩვენებელი ნაკლებია აგლუტინაციის 30 IU –ზე თითოეულ მილილიტრში და ცხოველი ავლენს უარყოფით რეაქციას კომპლემენტის ფიქსაციის ტესტზე ან სხვა აღიარებულ ტესტზე.

18. სადაც ცხოველი უკვე დაკლეს და მისი ლაბორატორიული გამოკვლევა უკვე შეუძლებელია, შეჩერებული სტატუსი შეიძლება აღდგეს სადგომში არსებულ 12 თვეზე მეტი ასაკის ყველა მსხვილფეხა ცხოველზე, თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლით განსაზღვრულის შესაბამისად ჩატარებული სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტით, ორი გამოკვლევის შედეგად, ბრუცელების ტიტრის მაჩვენებელი ნაკლებია აგლუტინაციის 30 IU-ზე თითოეულ მილილიტრში. აქედან, პირველი უნდა ჩატარდეს ცხოველის მოცილებიდან არანაკლებ 30 დღის შემდეგ, ხოლო მეორე – სულ მცირე 60 დღის შემდეგ.

19. თუ ამ მუხლის მე-17 და მე-18 პუნქტებით განსაზღვრული გამოსაკვლევი ცხოველი არის 30 თვეზე ნაკლები ასაკის და აცრილია ცოცხალი ვაქცინით, შტამი 19, ისინი შეიძლება ჩაითვალოს ტესტზე უარყოფითი რეაქციის მქონედ, თუ სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტის შედეგი მეტია 30 IU-ზე, მაგრამ ნაკლებია 80 IU-ზე თითოეულ მილილიტრში, ამასთან, კომპლემენტის ფიქსაციის ტესტის შედეგი უნდა იყოს ნაკლები 30 EEC ერთეულზე 12 თვეზე ნაკლები ხნით ადრე აცრილი მდედრების შემთხვევაში ან ნაკლები 20 EEC ერთეულზე, ყველა სხვა შემთხვევაში.

20. ჯოგს ბრუცელოზისგან თავისუფალი სტატუსი მოეხსნება თუ ეპიდემიოლოგიური მოკვლევის ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად დადასტურდება ჯოგში ბრუცელას ინფექცია. ჯოგის სტატუსი არ აღდგება მანამ, სანამ არ დაიკვლება დაავადების აფეთქებისას ჯოგში მყოფი ყველა მსხვილფეხა ცხოველი ან არ მოხდება ჯოგის საკონტროლო შემოწმება და 12 თვეზე მეტი ასაკის ყველა აუცრელი ცხოველი არ გამოავლენს უარყოფით რეაქციას ორ თანმიმდევრულ 60 დღის ინტერვალით ჩატარებულ გამოკვლევაზე. აქედან, პირველი ტესტი უნდა ჩატარდეს ჯოგიდან დადებითი რეაქციის



მქონე ბოლო ცხოველის გაყვანიდან არანაკლებ 30 დღის შემდეგ.

21. თუ ამ მუხლის მე-20 პუნქტით განსაზღვრული ყველა გამოსაკვლევი ცხოველი არის 30 თვეზე ნაკლები ასაკის და აცრილია ცოცხალი ვაქცინით - შტამი 19, ისინი შეიძლება ჩაითვალოს გამოკვლევაზე უარყოფითი რეაქციის მქონედ თუ ბრუცელას ტიტრის მაჩვენებელი მეტია სისხლის შრატის აგლუტინაციის 30 IU-ზე თითოეულ მილილიტრში, მაგრამ ნაკლებია 80 IU-ზე, ამასთან, კომპლემენტის ფიქსაციის ტესტის შედეგად, ტიტრი უნდა იყოს ნაკლები 30 EEC ერთეულზე, 12 თვეზე ნაკლები ხნით ადრე აცრილი მდედრების შემთხვევაში ან - 20 EEC ერთეულზე ნაკლები - ყველა სხვა შემთხვევაში.

22. იმ მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში, რომელიც მაკედ იყო დაავადების აფეთქებისას, საბოლოო შემოწმება უნდა ჩატარდეს დაავადების აფეთქებისას მაკედ მყოფი უკანაკნელი ცხოველის მშობიარობიდან სულ მცირე 21 დღის შემდეგ.

23. ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფლად შეიძლება გამოცხადდეს ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი თუ::

ა) ბრუცელას ინფექციით გამოწვეული აბორტის და B.abortus-ის გამოყოფის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა არანაკლებ 3 წლის განმავლობაში და სულ მცირე ჯოგების 99,8% -ს ყოველ წელს 5 თანმიმდევრული წლის განმავლობაში მიღებული აქვს ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი, აღნიშნული პროცენტის გამოთვლა ხდება ყოველი კალენდარული წლის 31 დეკემბერს. მიუხედავად ამისა, იქ, სადაც სააგენტო ატარებს მთელი ჯოგის დაკვლის პოლიტიკას, ეპიდემიოლოგიური მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ცალკეული შემთხვევები, რაც გამოწვეულია სხვა ქვეყნიდან ან იმ ჯოგებიდან ცხოველების შემოყვანით, რომელთა ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი შეჩერებული ან გაუქმებული აქვს დაავადებაზე ექვსის გარდა სხვა რაიმე მიზეზით, უგულვებელყოფილი უნდა იქნეს ზემოთ მოხსენიებული დაანგარიშების მიზნებისთვის თუკი ამ ინციდენტებთან დაკავშირებულ ყოველწლიურ ჩანაწერს აწარმოებს სააგენტო;

ბ) თითოეული მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკური რეგლამენტით;

გ) ხდება აბორტის შემთხვევების შესახებ სავალდებულო შეტყობინება და ისინი მოკვლეულია სააგენტოს მიერ.

24. ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფლად აღიარებული ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი შეინარჩუნებს ამ სტატუსს, თუ:

ა) ამ მუხლის 23-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები კვლავ სრულდება, ბრუცელოზით სავარაუდოდ გამოწვეული აბორტის შემთხვევების შესახებ შეტყობინება სავალდებულოა და ისინი მოკვლეულია სააგენტოს მიერ;

ბ) სტატუსის მიღებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წელს, 24 თვეზე მეტი ასაკის ყველა მსხვილფეხა ცხოველი, რომელიც შეადგენს ჯოგის არანაკლებ 20%-ს, გამოკვლეული იქნა და გამოავლინა უარყოფითი რეაქცია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად ჩატარებულ სეროლოგიურ გამოკვლევაზე ან მერძევე ჯოგის შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლით განსაზღვრულ რძის ნიმუშების გამოკვლევაზე;

გ) თითოეული იმ მსხვილფეხა საქონლის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ ბრუცელოზით ინფიცირებულია, ეცნობება სააგენტოს, ის გადის ბრუცელოზზე ოფიციალურ ეპიდემიოლოგიურ მოკვლევას, რომელიც მოიცავს სულ მცირე სისხლის ორ სეროლოგიურ გამოკვლევას, მათ შორის კომპლემენტის ფიქსაციის ტესტსა და სათანადო ნიმუშების მიკრობიოლოგიურ გამოკვლევას;

დ) იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მსხვილფეხა საქონელი ითვლება საექვოდ და რომელიც გრძელდება, მანამ სანამ უარყოფითი შედეგები არ გამოვლინდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამოკვლევების შედეგად, წარმოშობის ჯოგის ბრუცელოზისგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი ან საექვო მსხვილფეხა საქონლისა და მასთან ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული ჯოგის გადაადგილება შეჩერებული იქნება;



ე) ბრუცელოზის აფეთქების გავრცელების შემთხვევაში დაიკვლება ყველა მსხვილფეხა საქონელი. დანარჩენი ამთვისებული სახეობები გაივლიან შესაბამის გამოკვლევებს და მოხდება შენობებისა და ინვენტარის დასუფთავება და დეზინფიცირება.

25. თუ ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფლად აღიარებულ ქვეყანაში ან მის ნაწილში ბრუცელოზთან მიმართებაში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, ხდება სტატუსის შეჩერება ან გაუქმება, სანამ არ შესრულდება ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები.

26. სეროლოგიური გამოკვლევა ამ მუხლის მიზნებისათვის აღნიშნავს ან სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტს, ბრუცელას ბუფერული ანტიგენის ტესტს, კომპლემენტის ფიქსაციის ტესტს, პლაზმის აგლუტინაციის ტესტს, მიკრო აგლუტინაციის ტესტს, ან სისხლის ცალკეულ ELISA ტესტებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად. ყველა სხვა აღიარებული და ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლით განსაზღვრული დიაგნოსტიკური ტესტი დასაშვებია ამ მუხლის მიზნებისთვის. რძის რგოლური რეაქციის ტესტი არის სეროდიაგნოსტიკური ტესტი ან რძის ELISA ტესტები ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად.

## თავი IV

### ტუბერკულოზი

#### მუხლი 16

1. ამ პუნქტით განსაზღვრული აგენტის იდენტიფიკაციისათვის:

ა) მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულოზის გამომწვევი აგენტის - ხარის მიკობაქტერიის (*M. bovis*), არსებობა კლინიკურ და დაკვლისშემდგომ აღებულ ნიმუშებში შეიძლება გამოვლინდეს შედეგილი ნაცხის შესწავლით ან იმუნოპეროქსიდაზული მეთოდებით და დადასტურდეს მიკობაქტერიის კულტივაციით პირველად საკვებ ნიადაგზე;

ბ) ხარის მიკობაქტერიის (*M. Bovis*) დასადასტურებლად პათოლოგიური მასალა აღებული უნდა იქნეს დაზიანებული ლიმფური კვანძებიდან და პარენქიმული ორგანოებიდან, როგორცაა ფილტვი, ღვიძლი, ელენთა და სხვა. ისეთ შემთხვევებში, როცა ცხოველს არ აღენიშნება ქსოვილის პათოლოგიური დაზიანებები, ნიმუშების აღება გამოკვლევისათვის და კულტივირებისათვის უნდა მოხდეს რეტროფარინგეალური, ბრონხიალური, მედიასტინალური, მანდიბულარული და მეზენტერიალური ლიმფური კვანძებიდან და ღვიძლიდან;

გ) იზოლატის იდენტიფიცირება ჩვეულებრივ შეიძლება მოხდეს კულტურალური და ბიოქიმიური მახასიათებლების განსაზღვრით. PCR შეიძლება ასევე იქნეს გამოყენებული *M.tuberculosis*-ის კომპლექსის აღმოსაჩენად. დნმ-ის ანალიზის მეთოდები შეიძლება აღმოჩნდეს უფრო სწრაფი და მეტად საიმედო ვიდრე ბიოქიმიური მეთოდები *M. bovis*-ის განსასხვავებლად *M.tuberculosis*-ის კომპლექსის სხვა წევრებისგან. გენეტიკური დაქტილოსკოპია საშუალებას იძლევა, განვასხვავოთ *M. bovis*-ის სხვადასხვა შეფერილობები და ასევე, აღვწეროთ *M. bovis*-ის წარმოშობის, გადაცემისა და გავრცელების კანონზომიერებები;

დ) გამოყენებული მეთოდები და საშუალებები, მათი სტანდარტიზაცია და შედეგების ინტერპრეტირება უნდა შეესაბამებოდეს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) "დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელოს" (მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულოზი) მიხედვით განსაზღვრულ მეთოდებსა და საშუალებებს.

2. ტუბერკულინის PPD (გაწმენდილი ცილოვანი დერივატი), რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2-მე-10 პუნქტებით განსაზღვრულ სტანდარტებს, გამოიყენება ტუბერკულინის კანის ტესტისათვის ამ მუხლის მე-11-23-ე პუნქტებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

3. ტუბერკულინი მიიღება წყალში ხსნადი ფრაქციებისგან, რომლებიც მზადდება ორთქლზე



გაცხელებით და შემდეგ თხევად ხელოვნურ საკვებ ნიადაგში გამოყვანილი *M. bovis*-ის ან *M. avium*-ის (საჭიროების შესაბამისად) ბაქტერიების კულტურების ფილტრაციით. ფილტრატის აქტიური ფრაქცია, რომელიც ძირითადად პროტეინებისაგან შედგება, გამოიყოფა დალექვის გზით, ირეცხება და ხელახლა იხსნება. მას შეიძლება დაემატოს ანტიმიკრობული დამცავი კომპონენტი (მაგ., ფენოლი), რომელიც არ იწვევს ცრუ დადებით რეაქციებს. საბოლოო სტერილური პრეპარატი, რომელიც მიკობაქტერიას არ შეიცავს, თავსდება სტერილურ პირობებში სტერილურ, კარგად დაცულ მინის ჭურჭელში, რომელიც შემდეგ იხურება დაბინძურებისგან დასაცავად. პრეპარატი შეიძლება იყოს ლიოფილიზირებული.

4. პროდუქტის იდენტიფიკაციისათვის მზარდი დოზების რამდენიმეჯერადი შეშვება ხდება სხვადასხვა ადგილზე, კანში, სათანადოდ მგრძობიარე ალბინოს ზღვის გოჭებში, რომელთაგან თითოეული იწონის არანაკლებ 250გ.-ს 24-28 საათის შემდეგ რეაქცია ვლინდება ინექციის ადგილებზე წყლულოვანი შესიების სახით განეკროზებული ერთეულით ან მის გარეშე. რეაქციის ზომა და დონე იცვლება დოზის მიხედვით. არამგრძობიარე ზღვის გოჭები არ ავლენენ რაიმე რეაქციას იმავე ინექციებზე.

5. ტუბერკულოზის ტესტებისათვის:

ა) pH არის 6.5 - 7.5;

ბ) თუ გამოსაკვლევი პრეპარატი შეიცავს ფენოლს, მისი კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 5გ/ლ;

გ) მგრძობელობის ეფექტის დასადგენად გამოიყენება სამი ისეთი ზღვის გოჭისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც არ ჰქონიათ დანიშნული მასალა, რომელიც ტესტის ჩატარებას ხელს შეუშლის. 3-ჯერ 5 დღიანი ინტერვალით, თითოეული ზღვის გოჭის კანში შეიყვანება 0,1 მლ-ში 500 IU –ს ექვივალენტი გამოსაკვლევი პრეპარატის დოზა. მესამე ინექციიდან 15-21 დღის შემდეგ შეიყვანება იგივე დოზა (500 IU) კანში, იმავე ცხოველებში და სამი იმავე წონის ზღვის გოჭისაგან შემდგარ საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში, რომლებსაც ადრე არ ჩატარებიათ ტუბერკულოზის ინექცია. ბოლო ინექციებიდან 24-28 საათის შემდეგ, აღნიშნული ორი ჯგუფის რეაქციები არ უნდა განსხვავდებოდეს მნიშვნელოვნად;

დ) ტოქსიკურობის დასადგენად გამოიყენება ორი ზღვის გოჭი, თითოეული წონით არანაკლებ 250 გ, რომლებსაც ჩატარებიათ მკურნალობა მასალით, რომელიც ტესტის ჩატარებას ხელს შეუშლის. თითოეულ ზღვის გოჭში კანქვეშ შეიყვანება 0,5 მლ გამოსაკვლევი პრეპარატი. ცხოველებზე დააკვირვება წარმოებს შვიდი დღის განმავლობაში. დაკვირვების პერიოდში ანომალიურ ეფექტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს;

ე) სტერილურობა შეესაბამება სტერილურობის ტესტის მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია ევროპული ფარმაცოპეის „ვაქცინების ვეტერინარიაში გამოყენების შესახებ მონოგრაფიაში“.

6. ეფექტურობისათვის ტუბერკულოზის გაწმენდილი ცილოვანი დერივატის (მსხვილფეხა საქონლის და ფრინველის) ეფექტურობა დგინდება მგრძობიარე ზღვის გოჭებში გამოსაკვლევი პრეპარატის ხსნარის რამდენიმეჯერადი კანშიდა ინექციით გამოვლენილი რეაქციების შედარებით. აღნიშნული პრეპარატი იხსნება საერთაშორისო ერთეულებში გამოსახული (დაკალიბრებული) ტუბერკულოზის გაწმენდილი ცილოვანი დერივატის (მსხვილფეხა საქონლის ან ფრინველის) ეტალონი პრეპარატის ცნობილი კონცენტრატის მიერ წარმოებულ ხსნართან.

7. ეფექტურობის დასადგენად საჭიროა არანაკლებ ცხრა ალბინოსი ზღვის გოჭის, თითოეული წონით 400-დან 600 გრამამდე, მგრძობელობის გაზრდა კუნთში 0,0001 მგ ცოცხალი *M. bovis*-ის (შტამით AN5, სუსპენდირებული მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულოზის სუფრის მარილის 9გ/ლ ხსნარის 0,5 მლ-ში) სველი მასის ან ფრინველის ტუბერკულოზის ინაქტივირებული ან ცოცხალი *M. avium*-ის შესაბამისი დოზის ღრმა ინექციით. ზღვის გოჭების მგრძობელობის მატებიდან არანაკლებ ოთხი კვირის შემდეგ უნდა გაიპარსოს მათი ფერდები, რათა გაკეთდეს არა უმეტეს ოთხი ინექცია თითოეულ ფერდზე. მზადდება გამოსაკვლევი პრეპარატის და ეტალონი პრეპარატის ხსნარი იზოტონური ფოსფატის ბუფერული მარილის ხსნარის (pH 6,5-7,5) გამოყენებით, რომელიც შეიცავს 80 პოლისორბატის 0,005 გ/ლ-ს. გამოიყენება ეტალონი პრეპარატის არანაკლებ სამი დოზა და გამოსაკვლევი პრეპარატის არანაკლებ სამი დოზა. დოზები ისე შეირჩევა, რომ დაზიანებული ადგილები იყოს არანაკლებ 8მმ და არაუმეტეს 25მმ დიამეტრის. ხსნარი ნაწილდება უსისტემოდ გვირდებზე ლათინური კვადრატების მეთოდების გამოყენებით. ხდება თითოეული დოზის ინექცია



უცვლელი ოდენობით 0,1მლ ან 0,2 მლ. იზომება დაზიანებული ადგილების დიამეტრები 24-28 საათის შემდეგ და ითვლება ტესტის შედეგი ჩვეულებრივი სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, იმის გათვალისწინებით რომ დაზიანებული ადგილების დიამეტრები პირდაპირპროპორციული იყოს ტუბერკულინის კონცენტრაციის ლოგარითმისა.

8. „ტესტი არ ითვლება სწორად, სანამ სანდოობის ცდომილების ზღვარი ( $P = 0,95$ ) არ იქნება ეფექტურობის მოსალოდნელი მაჩვენებლის არანაკლებ 50% და არაუმეტეს 200%. ეფექტურობის მოსალოდნელი მაჩვენებელი არ არის მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულინის ეფექტურობის განსაზღვრული მაჩვენებლის არანაკლებ 66% და არაუმეტეს 150%. ეფექტურობის მოსალოდნელი მაჩვენებელი არ არის ფრინველის ტუბერკულინის ეფექტურობის განსაზღვრული მაჩვენებლის არანაკლებ 75% და არაუმეტეს 133%. ეფექტურობის განსაზღვრული მაჩვენებელი ორივე ტუბერკულინისთვის (მსხვილფეხა საქონლის და ფრინველის) არ არის 20 000 IU /მლ-ზე ნაკლები.

9. შენახვა უნდა განხორციელდეს სინათლისაგან დაცულ ადგილზე,  $5\pm 3^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე.

10. ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) თითოეულ მილილიტრზე ეფექტურობის მაჩვენებელი საერთაშორისო ერთეულებში;

ბ) ნებისმიერი დამატებული ნივთიერების დასახელება და რაოდენობა;

გ) ლიოფილიზირებული პრეპარატებისთვის:

გ.ა) დასამატებელი აღმდგენი სითხის (რესუსპენდირება) დასახელება და რაოდენობა;

გ.ბ) მითითება, რომ აღდგენის შემდეგ პროდუქტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოყენებული.

11. კანშიდა ტუბერკულინის ოფიციალურ ტესტებად მიჩნეულია:

ა) ერთი (ცალკე აღებული) კანშიდა ტესტი (აღნიშნული ტესტის დროს კეთდება მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულინის ერთი ინექცია);

ბ) შედარებითი კანშიდა ტესტი (აღნიშნული ტესტის დროს კეთდება მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულინის ერთი ინექცია და ფრინველის ტუბერკულინის ერთი ინექცია ერთდროულად).

12. ინექცირებული ტუბერკულინის დოზა უნდა იყოს:

ა) მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულინის 2000 IU-ზე არანაკლები;

ბ) ფრინველის ტუბერკულინის 2000 IU-ზე არანაკლები.

13. ინექციის თითოეული დოზის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,2მლ.

14. ტუბერკულინის ტესტები ტარდება კისრის კანში ტუბერკულინის (ტუბერკულინების) ინექციით. ინექციის ადგილები მდებარეობს წინა და შუა კისრის მესამეების ზღვარზე. როცა ერთ ცხოველს უკეთდება ორივე, ფრინველისა და მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულინი, ფრინველის ტუბერკულინის ინექციის ადგილი იქნება დაახლოებით 10 სმ-ზე კისრის შვერილიდან, ხოლო მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულინის ინექციის ადგილი – 12,5 სმ-ით ქვემოთ იმ ხაზიდან, რომელიც მხრის ხაზის თითქმის პარალელურია, ან კისრის სხვადასხვა მხარეს; ახალგაზრდა ცხოველებში, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ადგილი კისრის ერთ მხარეს შესაბამისი ადგილების გამოსაყოფად, კეთდება ერთი ინექცია კისრის ორივე მხარეს იდენტურ ადგილებზე, კისრის შუა მესამედის ცენტრში.

15. ტუბერკულინის ტესტირების ტექნიკა და რეაქციების ინტერპრეტაცია მდგომარეობს შემდეგში:

ა) ინექციის ადგილებზე ხდება მომჭერის დამაგრება და გაწმენდა. თითოეულ მოკეცილ ადგილზე საჩვენებელ თითსა და ცერს შორის აქცევენ კანის ნაკვეს, ზომავენ საზომი ჩანგლით და აღრიცხავენ.



შემდეგ შეჰყავთ ტუბერკულოზის დოზა იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ტუბერკულოზის შეშვებას კანში. შეიძლება გამოყენებულ იქნას მოკლე სტერილური ნემსი, გარედან ირიბი კიდევებით, ტუბერკულოზით ავსებული გრადუირებული შპრიცით, რომელიც ირიბად შეჰყავთ კანის სიღრმეში. სწორად გაკეთებული ინექცია მოწმდება პალპაციით - ინექციის ორივე მხარეს აღინიშნება პატარა ბარდის ზომის შესიება. კანის ნაკეცის სისქე ინექციის ორივე მხარეს ინექციის შემდეგ ხელახლა იზომება 72 (±4) საათის შემდეგ და აღირიცხება;

ბ) რეაქციების ინტერპრეტაცია ეფუძნება კლინიკურ დაკვირვებებს და ტუბერკულოზის ინექციიდან 72 საათის შემდეგ ინექციის ადგილებზე კანის ნაკეცის სისქის ზრდას აღრიცხულ მაჩვენებელზე (მაჩვენებლებზე):

ბ.ა) უარყოფითია რეაქცია თუ მხოლოდ მცირე ზომის შესიება აღინიშნება, კანის ნაკეცის სისქეში არაუმეტეს 2მმ-ის მომატებით არანაირი კლინიკური ნიშნით, როგორცაა დიფუზიური ან დიდი მოცულობის შეშუპება, გამონაჟონი, ნეკროზი, ტკივილი ან ამ არეში ლიმფური სადინრების ან ლიმფური კვანძების ანთება;

ბ.ბ) საეჭვოა რეაქცია, თუ არ აღინიშნება ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კლინიკური ნიშნები და თუ, კანის ნაკეცის სისქის ზრდა მეტია 2მმ-ზე და ნაკლებია 4მმ-ზე;

ბ.გ) დადებითია რეაქცია თუ აღინიშნება ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კლინიკური ნიშნები და თუ ინექციის ადგილზე კანის ნაკეცის სისქის ზრდა არის 4მმ ან უფრო მეტი.

16. კანშიდა ტუბერკულოზის ოფიციალური ტესტების ინტერპრეტაციისას ერთი (ცალკე აღებული) კანშიდა ტესტისთვის:

ა) დადებითია, თუ მსხვილფეხა საქონლს აქვს დადებითი რეაქცია, როგორც ეს განსაზღვრულია ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით;

ბ) საეჭვოა, თუ არის საეჭვო რეაქცია, როგორც ეს განსაზღვრულია ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით;

გ) უარყოფითია, თუ მსხვილფეხა საქონლს აქვს უარყოფითი რეაქცია, როგორც ეს განსაზღვრულია ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით.

17. ის ცხოველები, რომლებმაც გამოავლინეს საეჭვო რეაქცია ცალკეულ კანშიდა ტესტზე, ექვემდებარებიან კიდევ ერთი ტესტის ჩატარებას არანაკლებ 42 დღის შემდეგ.

18. ის ცხოველები, რომლებმაც არ გამოავლინეს უარყოფითი რეაქცია ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრულ მეორე ტესტზე, ითვლებიან ტესტზე დადებითი რეაქციის მქონედ.

19. ის ცხოველები, რომლებმაც გამოავლინეს დადებითი რეაქცია ცალკეულ კანშიდა ტესტზე, შეიძლება დაექვემდებარონ შედარებით კანშიდა ტესტს იმ შემთხვევაში, თუ ივარაუდება ცრუ დადებითი რეაქცია ან არსებობს ეჭვი ინტერფერენციულ რეაქციაზე.

20. შედარებითი კანშიდა ტესტი, ტუბერკულოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგის სტატუსის დასადგენად და შესანარჩუნებლად:

ა) დადებითია, თუ მსხვილფეხა საქონლს აქვს დადებითი რეაქცია, რომელიც 4მმ-ით და უფრო მეტით აღემატება ფრინველის რეაქციას, ან არსებობს კლინიკური ნიშნები;

ბ) საეჭვოა, თუ მსხვილფეხა საქონლს აქვს დადებითი ან საეჭვო რეაქცია, რომელიც 1-4 მმ-ით აღემატება ფრინველის რეაქციას და არ არსებობს კლინიკური ნიშნები;

გ) უარყოფითია, თუ მსხვილფეხა საქონლს აქვს უარყოფითი რეაქცია ან დადებითი ან საეჭვო რეაქცია, რომელიც ტოლია ან ნაკლებია ფრინველის დადებით ან საეჭვო რეაქციაზე და ორივე შემთხვევაში არ არსებობს კლინიკური ნიშნები;



დ) ის ცხოველი, რომელმაც გამოავლინა საექვო რეაქცია შედარებით კანშიდა ტესტზე, ექვემდებარება კიდევ ერთი ტესტის ჩატარებას არაუადრეს 42 დღისა. ის ცხოველი, რომელმაც არ გამოავლინა უარყოფითი რეაქცია მეორე ტესტზე, ითვლება ტესტზე დადებითი რეაქციის მქონედ.

21. ტუბერკულოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგის სტატუსი შეიძლება შეჩერდეს და აიკრძალოს, ქვეყნის შიგნით ამ ჯოგის ცხოველით ვაჭრობა იმ დრომდე, სანამ არ გაირკვევა სტატუსი:

ა) ცხოველისა, რომელიც ითვლება ცალკეულ კანშიდა ტესტზე საექვო რეაქციის მქონედ;

ბ) ცხოველისა, რომელიც ითვლება ცალკეულ კანშიდა ტესტზე დადებითი რეაქციის მქონედ, მაგრამ განმეორებით შემოწმებას საჭიროებს შედარებითი კანშიდა ტესტით;

გ) ცხოველისა, რომელიც ითვლება შედარებით კანშიდა ტესტზე საექვო რეაქციის მქონედ.

22. იქ, სადაც ცხოველს გადაადგილებამდე უნდა ჩაუტარდეს კანშიდა ტესტირება, ტესტის ინტერპრეტაციის მიხედვით, არცერთი ცხოველი, რომელსაც აღენიშნება კანის ნაკეცის სისქის მომატება 2მმ-ს ზემოთ, ან კლინიკური ნიშნების არსებობა, არ დაიშვება ქვეყნის შიგნით ვაჭრობაზე.

23. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დაინფიცირებული და დაავადებული ცხოველების მაქსიმალური რაოდენობის გამოვლენა ჯოგსა თუ ქვეყნის ნაწილში, სააგენტომ შეიძლება შეცვალოს ტესტირების ინტერპრეტაციის კრიტერიუმები, რათა გაუმჯობესდეს ტესტზე მგრძობელობა ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-20 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ყველა საექვო რეაქციის დადებითად მიჩნევით.

24. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დაინფიცირებული და დაავადებული ცხოველების მაქსიმალური რაოდენობის გამოვლენა ჯოგსა თუ ქვეყნის ნაწილში, სააგენტომ შეიძლება გასცეს ავტორიზაცია გამა-ინტერფერონის გამოყენებით დამატებით ტესტირებაზე, რომელიც მითითებულია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) “დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელოში” (მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულოზი), ტუბერკულოზის ტესტთან ერთად.

25. სააგენტო და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია (შემდეგში ლაბორატორია) პასუხმგებელი არიან ამ მუხლის მე-2-24-ე პუნქტებით განსაზღვრული ტუბერკულოზით ან რეაგენტებით (საჭიროებისამებრ) ოფიციალური ტესტირების ჩატარებაზე, რათა აღნიშნული ტუბერკულოზებიდან და რეაგენტებიდან თითოეული შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2-მე-8 პუნქტებით და, საჭიროების შემთხვევაში 24-ე პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებს.

## თავი V

### ბრუცელოზი

#### მუხლი 17

1. ბრუცელას აგენტის იდენტიფიკაციისათვის:

ა) აბორტირებულ (რუდიმენტულ) მასალაში, ვაგინალურ გამონადენსა ან რძეში ვლინდება ბრუცელას სავარაუდო არსებობა ბრუცელას მორფოლოგიის მქონე ორგანიზმის მოდიფიცირებული მჟავით ან იმუნოსპეციფიური შეფერილობით, განსაკუთრებით, თუ ის გამყარებულია სეროლოგიური ტესტებით. პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (შემდეგში - PCR) მეთოდი წარმოადგენს ბრუცელოზის აღმოჩენის დამატებით საშუალებას;

ბ) როცა შესაძლებელია, brucella spp უნდა განცალკევდეს ბაქტერიის კულტურის ჩვეულებრივი ან შერჩევითი ნიადაგის გამოყენებით საშვილოსნოს გამონადენიდან, ნადრევი ნაყოფისგან, ცურის სეკრეტისგან ან შერჩეული ქსოვილისგან, როგორცაა ლიმფური კვანძები და მამრობითი და



მდედრობითი რეპროდუქციული ორგანოები;

გ) განცალკევების შემდეგ, სახეობები და ბიოვარი იდენტიფიცირდება ფაგის ლიზისით ან/და მჟანგავი მეტაბოლიზმის ტესტებით, კულტურალური, ბიოქიმიური და სეროლოგიური კრიტერიუმებით. PCR იძლევა ორივე, კომპლემენტარული და ბიოტიპირების მეთოდის გამოყენების საშუალებას სპეციფიკურ გენომურ მიმდევრობაზე დაყრდნობით;

დ) გამოყენებული მეთოდები და ნიადაგი, მათი სტანდარტიზაცია და შედეგების ინტერპრეტაცია უნდა შეესაბამებოდეს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) “ხმელეთის ცხოველების დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელოს” (მეექვსე გამოცემა, 2008, თავი 2.4.3 მსხვილფეხა საქონლის ბრუცელოზი), თავი 2.7.2 (თხისა და ცხვრის ბრუცელოზი) და თავი 2.8.5 (ღორის ბრუცელოზი) მიხედვით განსაზღვრულ მეთოდებსა და ნიადაგებს.

2. იმუნოლოგიური ტესტებიდან brucella abortus-ის ბიოვარი 1 ვეიბრიჯის შტამი No 99 ან ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) შტამი 1119-3 გამოყენებული უნდა იქნეს ყველა ანტიგენის მომზადებაში, რომელიც გამოიყენება როზბენგალ ტესტში, სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტში, კომპლემენტის ფიქსაციის ტესტში და რძის რგოლური რეაქციის ტესტში.

3. როზბენგალ ტესტი, სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტი, კომპლემენტის ფიქსაციის ტესტი და რძის რგოლური რეაქციის ტესტისთვის შრატის სტანდარტის ეტალონი უნდა შეესაბამებოდეს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) შრატის სტანდარტის საერთაშორისო ეტალონს (შემდგომში - OIEISS), რომელსაც ადრე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) უწოდა მეორე საერთაშორისო brucella abortus-ის საწინააღმდეგო შრატი (ISAbS).

4. სტანდარტული რეფერალური შრატები ELISA-თვის იქნება:

ა) OIEISS;

ბ) სუსტი დადებითი OIE ELISA შრატის სტანდარტი (OIEELISA<sub>WP</sub>SS);

გ) ძლიერი დადებითი OIE ELISA შრატის სტანდარტი (OIEELISA<sub>SP</sub>SS);

დ) უარყოფითი OIE ELISA შრატის სტანდარტი (OIEELISA<sub>N</sub>SS).

5. სტანდარტული რეფერალური შრატები ფლუორესცენტული პოლარიზაციის ტესტისთვის (FPAs) იქნება:

ა) სუსტი დადებითი OIE ELISA შრატის სტანდარტი (OIEELISA<sub>WP</sub>SS);

ბ) ძლიერი დადებითი OIE ELISA შრატის სტანდარტი (OIEELISA<sub>SP</sub>SS);

გ) უარყოფითი OIE ELISA შრატის სტანდარტი (OIEELISA<sub>N</sub>SS).

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული შრატების სტანდარტების მიღება შესაძლებელია ბრუცელოზის რეფერენს ლაბორატორიაში ან დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ვეიბრიჯის ვეტერინარული ლაბორატორიების სააგენტოში (VLA).

7. OIEISS, OIEELISA<sub>WP</sub>SS, OIEELISA<sub>SP</sub>SS და OIEELISA<sub>N</sub>SS წამოადგენენ პირველად საერთაშორისო სტანდარტებს, რომლითაც დგინდება შრატის მეორადი ეროვნული სტანდარტების ეტალონი (მუშა სტანდარტები) ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული თითოეული ტესტისთვის.

8. ELISA ან სხვა შემაკავშირებელი ანალიზები შრატში ან რძეში მსხვილფეხა საქონლის ბრუცელოზის დასადგენად გამოყენებული ტექნიკა და შედეგების ინტერპრეტაცია უნდა დამტკიცდეს ცხოველთა



ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) „ხმელეთის ცხოველების დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელო“ (მეექვსე გამოცემა, 2008) ამ თავის 1.1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად და უნდა მოიცავდეს სულ მცირე ლაბორატორიულ და დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს.

9. შრატის ცალკეული ნიმუშების ტესტირების პროცედურის სტანდარტიზაციისათვის:

ა) 1/150 OIEISS -ის, 1/2 OIEELISA<sub>WPSS</sub> -ის ან 1/16 OIEELISA<sub>SPSS</sub> -ის წინასწარ მომზადებულმა ხსნარმა, რომელიც მომზადებულია უარყოფით შრატში (ან უარყოფითი შრატების ნარევი), უნდა გამოავლინოს დადებითი რეაქცია;

ბ) 1/600 OIEISS -ის, 1/8 OIEELISA<sub>WPSS</sub> -ის ან 1/64 OIEELISA<sub>SPSS</sub> -ის წინასწარ მომზადებულმა ხსნარმა, რომელიც მომზადებულია უარყოფით შრატში (ან უარყოფითი შრატების ნარევი), უნდა გამოავლინოს უარყოფითი რეაქცია;

გ) OIEELISA<sub>NSS</sub> -მა ყოველთვის უნდა გამოავლინოს უარყოფითი რეაქცია.

10. შერეული შრატის ნიმუშების ტესტირების პროცედურის სტანდარტიზაციისათვის:

ა) 1/150 OIEISS -ის, 1/2 OIEELISA<sub>WPSS</sub> -ის ან 1/16 OIEELISA<sub>SPSS</sub> -ის წინასწარ მომზადებულმა ხსნარმა, რომელიც მომზადებულია უარყოფით შრატში (ან უარყოფითი შრატების ნარევი) და კიდევ ერთხელ გახსნილია უარყოფით შრატში ნიმუშების ნარევით, უნდა გამოავლინოს დადებითი რეაქცია;

ბ) OIEELISA<sub>NSS</sub> -მა ყოველთვის უნდა გამოავლინოს უარყოფითი რეაქცია;

გ) ტესტი უნდა იყოს ისეთი, რომ შეძლოს ინფექციის მტკიცებულების აღმოჩენა ცხოველების ჯგუფის ცალკეულ ცხოველში, რომლის შრატის ნიმუშიც შეურიეს შრატების ნარევი.

11. შერეული რძის ან შრატის ნიმუშების ტესტირების პროცედურის სტანდარტიზაციისათვის:

ა) 1/1000 OIEISS -ის, 1/16 OIEELISA<sub>WPSS</sub> -ის ან 1/125 OIEELISA<sub>SPSS</sub> -ის წინასწარ მომზადებულმა ხსნარმა, რომელიც მომზადებულია უარყოფით შრატში (ან უარყოფითი შრატების ნარევი) და კიდევ ერთხელ გახსნილია 1/10 უარყოფით რძეში, უნდა გამოავლინოს დადებითი რეაქცია;

ბ) OIEELISA<sub>NSS</sub> -მა, რომელიც გახსნილია 1/10 უარყოფით რძეში, ყოველთვის უნდა გამოავლინოს უარყოფითი რეაქცია;

გ) ტესტი უნდა იყოს ისეთი, რომ შეძლოს ინფექციის მტკიცებულების აღმოჩენა ცხოველების ჯგუფის ცალკეულ ცხოველში, რომლის რძის ან შრატის ნიმუშიც იქნა შერეული.

12. მსხვილფეხა საქონლის ბრუცელოზის დიაგნოზისთვის ELISA-ს გამოყენების პირობებია:

ა) შრატის ნიმუშებზე ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული ELISA-ს კალიბრაციის პირობების გამოყენება, ELISA-ს დიაგნოსტიკური მგრძობელობა ტოლი უნდა იყოს ან აღემატებოდეს როზბენგალ ტესტს ან კომპლემენტ ფიქსაციის ტესტს იმ ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, რომელშიც მას იყენებენ;

ბ) შერეული რძის ნიმუშებზე ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ELISA-ს კალიბრაციის პირობების გამოყენება, ELISA-ს დიაგნოსტიკური მგრძობელობა ტოლი უნდა იყოს ან აღემატებოდეს რძის რგოლურ ტესტს არა მარტო ეპიდემიოლოგიური სიტუაციის, არამედ ასევე პროდუქციაში საშუალო და მოსალოდნელი განსხვავებული მაჩვენებლების მქონე მეცხოველეობის სისტემების გათვალისწინებითაც;

გ) იქ, სადაც ELISA გამოიყენება დამადასტურებელი მიზნებისთვის ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6



მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ან ჯოგის სტატუსის დასადგენად ან შესანარჩუნებლად ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის 25-ე პუნქტის შეაბამისად, შრატის ნიმუშების ნარევი მოთავსება უნდა მოხდეს ისე, რომ ტესტის შედეგები დანამდვილებით ეკუთვნოდეს იმ ცალკეულ ცხოველს, რომლის ნიმუშებიც ნარევი მოთავსეს. რომელიმე საკონტროლო ტესტის ჩატარება უნდა განხორციელდეს ცალკეული ცხოველებიდან აღებული შრატის ნიმუშებზე;

დ) ELISA შეიძლება გამოყენებულ იქნეს რძის ნიმუშზე, რომელიც აღებულია ისეთი ფერმიდან მოგროვებული რძიდან, სადაც სულ მცირე 30 % მეწველი ძროხაა. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა გამოკვლეული ნიმუშები დანამდვილებით ეკუთვნოდეს იმ ცალკეულ ცხოველებს, რომლებსგანაც რძეა მიღებული. აუცილებელია რომელიმე საკონტროლო ტესტის ჩატარება ცალკეული ცხოველებიდან აღებული შრატის სინჯებზე.

13. კომპლემენტის ფიქსაციის ტესტის დროს:

ა) ანტიგენი წარმოადგენს ბაქტერიულ სუსპენზიას ფენოლის მარილიან ხსნარში (NaCl 0,85% (მ/ვ) და ფენოლი 0,5% (ვ/ვ)) ან ვერონალის ბუფერში. ანტიგენის მიღება შეიძლება კონცენტრირებული სახით, ამასთან, გამოსაყენებელი ნაზავის კოეფიციენტი მითითებული უნდა იყოს ფლაკონის ეტიკეტზე. ანტიგენი ინახება 4°C -ზე და არა გაყინულ მდგომარეობაში;

ბ) შრატების ინაქტივაცია ხდება შემდეგნაირად:

ბ.ა) მსხვილფეხა საქონლის შრატი - 56°C-60°C-ზე 30-50 წუთის განმავლობაში;

ბ.ბ) ღორის შრატი- 60°C-ზე 30-50 წუთის განმავლობაში;

გ) ბუნებრივი რეაქციის მისაღებად გამოიყენება დამატებითი დოზა, რომელიც მეტია ჰემოლიზის მთლიანი დოზის აუცილებელ მინიმუმზე;

დ) ყოველ ჯერზე მიღებული უნდა იქნეს კონტროლის შემდეგი ზომები:

დ.ა) შრატის ანტიკომპლემენტარული ეფექტის კონტროლი;

დ.ბ) ანტიგენის კონტროლი;

დ.გ) სისხლის მგრძობიარე წითელი უჯრედების კონტროლი;

დ.დ) კომპლემენტის კონტროლი;

დ.ე) რეაქციის დასაწყისში მგრძობელობის დადებითი შრატის გამოყენების კონტროლი;

დ.ვ) რეაქციის სპეციფიკის კონტროლი უარყოფითი შრატის გამოყენებით.

14. შედეგების დათვლა OIEISS მოიცავს 1 000 საერთაშორისო CFT ერთეულს (ICFTU) ერთ მლ-ზე. თუ OIEISS-ს ტესტირება ხდება აღნიშნული მეთოდით შედეგი განისაზღვრება ტიტრის სახით. (ე.ი. OIEISS-ის პირდაპირი ნაზავის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იძლევა ჰემოლიზის 50%-ს,  $T_{OIEISS}$ ). ტიტრებში განსაზღვრული ( $T_{TESTSERUM}$ ) შრატის ტესტირების შედეგი გამოსახული უნდა იყოს ICFTU-ში ერთ მლ-ზე. ტიტრით გამოსახულის ICFTU-ში გადასაყვანად ფაქტორი (F), რომელიც აუცილებელია ამ მეთოდით ტესტირებული უცნობი სატესტო შრატის ( $T_{TESTSERUM}$ ) ტიტრის გარდასაქმნლად ICFTU-ში, მიიღება  $F=1\ 000 \times 1/ T_{OIEISS}$  ფორმულით და სატესტო შრატის ერთ მლ-ზე CFT-ს საერთაშორისო ერთეულების შემადგენლობა ( $ICFTU_{TESTSERUM}$ )  $ICFTU_{TESTSERUM} = F \times T_{TESTSERUM}$  ფორმულით.

15. შედეგების ინტერპრეტაციისას შრატი, რომელიც შეიცავს 20 ან მეტ ICFTU-ს ერთ მლ-ზე ითვლება დადებითად.

16. რძის რგოლური რეაქციის ტესტის :



ა) ანტიგენი წარმოადგენს ბაქტერიულ სუსპენზიას ფენოლის მარილიან ხსნარში (NaCl 0,85 % (m/v) და ფენოლი 0,5 % (v/v)), რომელიც შეფერილია ჰემატოქსილინით. ანტიგენი ინახება 4°C-ზე და არა გაყინულ მდგომარეობაში;

ბ) ანტიგენის მგრძობელობის სტანდარტიზაცია ხდება OIEISS-თან კავშირში ისე, რომ ანტიგენი 1/500 განზავებით ავლენს დადებით რეაქციას უარყოფით რძეში, როცა 1/1000 განზავებაში უნდა იყოს უარყოფითი;

გ) ჩატარება ხდება ისეთ ნიმუშებზე, რომლებიც აღებულია რძის თითოეული ბიდონიდან ან ფერმაში შეგროვებულ რძის თითოეული ცისტერნიდან;

დ) განხორციელებისას რძის ნიმუშები არ უნდა გაიყინოს, გახურდეს ან განიცადოს ძლიერი რყევა;

ე) რეაქცია უნდა განხორციელდეს ქვემოთ განსაზღვრული მეთოდებიდან ერთ-ერთის გამოყენებით:

ე.ა) არანაკლებ 25მმ სიმაღლის რძის სვეტზე და რძის მოცულობის 1მლ-ზე, რომელზეც დამატებულია 0,03 ან 0,05 მლ ერთ-ერთი სტანდარტიზირებული შეფერილი ანტიგენი;

ე.ბ) არანაკლებ 25მმ სიმაღლის რძის სვეტზე და რძის მოცულობის 2მლ-ზე, რომელზეც დამატებულია 0,05 მლ ერთ-ერთი სტანდარტიზირებული შეფერილი ანტიგენი;

ე.გ) რძის მოცულობის 8 მლ-ზე, რომელზეც დამატებულია 0,08 მლ ერთ-ერთი სტანდარტიზირებული შეფერილი ანტიგენი;

ვ) ანტიგენებისა და რძის ნაზავის ინკუბაცია უნდა მოხდეს 37°C-ზე 60 წუთის განმავლობაში უარყოფით და დადებით მუშა სტანდარტებთან ერთად. შემდგომი 16-24 საათიანი ინკუბაცია 4°C-ზე ზრდის ტესტის მგრძობელობას.

ზ) შედეგების ინტერპრეტაციისას:

ზ.ა) უარყოფითი რეაქციაა თუ წარმოიქმნება შეფერილი რძე, უფერო ნაღები;

ზ.ბ) დადებითი რეაქციაა თუ წარმოიქმნება ერთნაირად შეფერილი რძე და ნაღები ან უფერო რძე და შეფერილი ნაღები.

## 17. როზბენგალ ტესტის:

ა) ანტიგენი წარმოადგენს ბაქტერიულ სუსპენზიას ბუფერიზებული ბრუცელა ანტიგენის გამხსნელში  $3,65 \pm 0,05$  pH-ზე, რომელიც შეფერილია ბენგალის ვარდის ფერით. ანტიგენს მზა მდგომარეობაში იღებენ და ინახავენ 4°C -ზე და არა გაყინულ მდგომარეობაში.

ბ) ანტიგენი მზადდება უჯრედის კონცენტრაციისგან დამოუკიდებლად, მაგრამ მისი მგრძობელობის სტანდარტიზაცია ხდება OIEISS-თან კავშირში ისე, რომ ანტიგენი ავლენს დადებით რეაქციას 1/45 შრატის ხსნართან და უარყოფით რეაქციას – 1/55 ხსნართან;

გ) ჩატარება ხდება შემდეგნაირად:

გ.ა) შრატი (20-30  $\mu$ l) ზავდება ანტიგენის თანაბარ ოდენობასთან კერამიკის თეთრ ფილაზე ან ემალის ფირფიტაზე, ისე რომ წარმოქმნას დაახლოებით 2 სმ დიამეტრის ზონა. აღნიშნული ნაზავი ირევა ფრთხილად ოთხი წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ ხდება მასზე დაკვირვება აგლუტინაციისთვის საჭირო განათებაზე;

გ.ბ) შეიძლება ავტომატიზებული მეთოდის გამოყენება, მაგრამ იგი უნდა იყოს სულ მცირე ისეთივე მგრძობელობის და სიზუსტის, როგორცაა არაავტომატური მეთოდი;

დ) შედეგების ინტერპრეტაციისას:



დ.ა) ნებისმიერი თვალსაჩინო რეაქცია ითვლება დადებითად, სანამ არ აღინიშნება კიდევების გარშემო გადამეტებული გამოშრობა;

დ.ბ) ტესტების თითოეულ სერიაში გათვალისწინებული უნდა იყოს დადებითი და უარყოფითი სამუშაო სტანდარტები.

18. სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტის:

ა) ანტიგენი წარმოადგენს ბაქტერიულ სუსპენზიას ფენოლის მარილიან სხნარში (NaCl 0,85 % (m/v) და ფენოლი 0,5 % (v/v)), რისთვისაც ფორმალდეჰიდის გამოყენება აკრძალულია;

ბ) ანტიგენის მიღება შეიძლება კონცენტრირებული სახით, ამასთან, გამოსაყენებელი ნაზავის კოეფიციენტი მითითებული უნდა იყოს ფლაკონის ეტიკეტზე;

გ) საბოლოო ნაზავის 5მმ-დე ანტიგენის სუსპენზიას, მცდარი დადებითი შედეგის შესამცირებლად, შეიძლება დაემატოს EDTA (ანტიკოაგულანტი-ეთილენდიამინტეტრაჰიდრომარმეჟა) სისხლის შრატის აგლუტინაციის ტესტში და ბოლოს, ანტიგენის სუსპენზიაში pH უნდა დარეგულირდეს 7.2-ზე;

დ) OIEISS შეიცავს აგლუტინაციის 1 000 საერთაშორისო ერთეულს;

ე) ანტიგენი მზადდება უჯრედის კონცენტრაციისგან დამოუკიდებლად, მაგრამ მისი მგრძობელობის სტანდარტიზაცია ხდება OIEISS –თან კავშირში ისე, რომ ანტიგენი ავლენს ან 50% აგლუტინაციას 1/600 - 1/1 000 შრატის საბოლოო ნაზავთან ან 75% აგლუტინაციას 1/500 - 1/750 შრატის საბოლოო ნაზავთან;

ვ) ანტიგენის ახალი და ადრე სტანდარტიზებული პარტიების რეაქტიულობის შედარება რეკომენდებულია უკვე განსაზღვრული შრატების გამოყენებით;

ზ) ჩატარება ხდება მილში ან მიკროპლანშეტზე. ანტიგენებისა და შრატის ნაზავის ინკუბაცია უნდა მოხდეს 16-24 საათის განმავლობაში 37°C -ზე;

თ) თითოეული შრატისთვის უნდა მომზადდეს არანაკლებ 3 ხსნარი. საექვო შრატის ხსნარი ისე უნდა მომზადდეს, რომ რეაქციის წაკითხვა დადებითობის მაჩვენებლის ზღვარზე მოხდეს შუა მილში (ან მიკროპლანშეტის შემთხვევაში - ბუდეში);

ი) შედეგების ინტერპრეტაციას:

ი.ა) შრატში ბრუცელას აგლუტინაციის ხარისხი გამოიხატება IU-ში ერთ მლ-ზე;

ი.ბ) შრატი, რომელიც შეიცავს 30 ან მეტ IU –ს ერთ მილზე ითვლება დადებითად.

19. ფლორესცენტული პოლარიზაციის ტესტის:

ა) ჩატარება შეიძლება მინის მილში ან 96 ბუდიან პლანშეტში. გამოყენებული მეთოდი, მისი სტანდარტიზაცია და შედეგების ინტერპრეტაცია უნდა შეესაბამებოდეს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) „ხმელეთის ცხოველების დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელოს“ (მსხვილფეხა საქონლის ბრუცელოზი) მიხედვით განსაზღვრულს;

ბ) სტანდარტიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ:

ბ.ა) OIEELISA<sub>SP</sub>SS და OIEELISA<sub>WP</sub>SS მუდმივად იძლეოდეს დადებით შედეგებს;

ბ.ბ) 1/8 OIEELISA<sub>WP</sub>SS -ის წინასწარ მომზადებული ხსნარი ან 1/64 OIEELISA<sub>SP</sub>SS -ის წინასწარ მომზადებული ხსნარი, რომელიც მომზადებულია უარყოფით შრატში (ან უარყოფითი შრატების ნარევი), ყოველთვის ავლენდეს უარყოფითი რეაქციას;



ბ.გ) OIEELISA<sub>N</sub>SS ყოველთვის ავლენდეს უარყოფითი რეაქციას;

ბ.დ) ტესტების თითოეული პარტიაში უნდა იყოს: ძლიერი დადებითი, სუსტი დადებითი, უარყოფითი სამუშაო სტანდარტის შრატი (კალიბრირებული OIE ELISA სტანდარტული შრატების მიხედვით).

დამატებითი ტესტები.

20. ბრუცელოზის კანის ტესტის გამოყენების პირობებია:

ა) მისი არ გამოყენება ქვეყნის შიგნით ვაჭრობის დადასტურების მიზნებისთვის;

ბ) აუცრელ ცხოველებში ბრუცელოზის აღმოსაჩენად გამოყენება (ბრუცელოზის კანის ტესტი ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური ტესტია), თუმცა, დიაგნოზი არ უნდა დაისვას მხოლოდ დადებით კანშიდა რეაქციებზე დაყრდნობით;

გ) ის მსხვილფეხა ცხოველი, რომელსაც გაუკეთდა ანალიზი და გამოავლინა უარყოფითი რეაქცია ამ მუხლით განსაზღვრულ ერთ რომელიმე სეროლოგიურ ტესტში და ამასთან, დადებითი რეაქცია გამოავლინა ბრუცელოზის კანის ტესტზე ითვლება დაინფიცირებულად ან დაინფიცირებაზე საექსპოდ;

დ) ის მსხვილფეხა ცხოველი, რომელსაც გაუკეთდა ანალიზი და გამოავლინა დადებითი რეაქცია ამ მუხლით განსაზღვრულ ერთ რომელიმე სეროლოგიურ ტესტზე, შეიძლება დაექვემდებაროს ბრუცელოზის კანის ტესტს სეროლოგიური ტესტების შედეგების ინტერპრეტაციის გასამყარებლად; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალ ჯოგში და ბრუცელოზისაგან თავისუფალ მსხვილფეხა საქონლის ჯოგში ანტისხეულების ჯვარედინი რეაქცია სხვა ბაქტერიებზე არ გამოირიცხება.

21. ბრუცელოზის კანის ტესტი უნდა ჩატარდეს ბრუცელოზის სტანდარტიზებული და განსაზღვრული პრეპარატის ალერგენის გამოყენებით, რომელიც არ შეიცავს ლიპოპორისაქარიდის (LPS) ანტიგენს, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს განუსაზღვრელი ალერგიული რეაქციები ან ხელი შეუშალოს შემდგომ სეროლოგიურ ტესტებს.

22. ბრუცელინის წარმოების მოთხოვნები შესაბამისობაში უნდა იყოს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) “ხმელეთის ცხოველების დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელოს” შესაბამის მოთხოვნებთან.

23. ბრუცელოზის კანის ტესტის ჩატარებისას:

ა) ბრუცელოზის ალერგენის 0.1 მლ მოცულობა შეჰყავთ კუდთან ახლოს კანში, ფერდის კანში ან კისრის გვერდზე;

ბ) ტესტის წაკითხვა ხდება 48-72 საათის შემდეგ;

გ) კანის სისქე ინექციის ადგილზე იზომება შტანგენციკულით ინექციამდე და ხელახალი შემოწმებისას;

24. ბრუცელოზის კანის ტესტის შედეგების ინტერპრეტაციისას:

ა) ძლიერი რეაქციები ადვილად ამოსაცნობია ადგილობრივი შესიებით და გამაგრებით;

ბ) კანის 1-2 მმ-იანი გასქელება შეიძლება ჩაითვალოს ბრუცელოზის კანის ტესტზე დადებით რეაქციად.

25. კონკურენტული მყარფაზიანი იმუნოფერმენტული ანალიზის (cELISA) გამოყენებისას მსხვილფეხა საქონელი, რომელსაც გაუკეთდა ანალიზი და გამოავლინა დადებითი რეაქცია ამ მუხლით განსაზღვრულ ერთ რომელიმე სხვა სეროლოგიურ ტესტზე შეიძლება დაექვემდებაროს cELISA-ს, სხვა



სეროლოგიური ტესტების შედეგების ინტერპრეტაციის გასამყარებლად, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალ ან ბრუცელოზისაგან თავისუფალ მსხვილფეხა საქონლის ჯოგში ანტისხეულების ჯვარედინი რეაქცია სხვა ბაქტერიებზე არ არის გამორიცხული, ან S19-ით ვაქცინაციის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი (ნაშთი) ანტისხეულებით გამოწვეული რეაქციების აღმოსაფხვრელად.

26. eELISA-ის ტესტი უნდა ჩატარდეს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) „დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელოში“ განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

## თავი VI

### მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგი, ქვეყნის ნაწილი და ქვეყანა

#### მუხლი 18

1. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალია ჯოგი, რომელშიც:

ა) არ გამოვლენილა მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის შემთხვევის არანაირი მტკიცებულება კლინიკური ან ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად და ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა გასული ორი წლის განმავლობაში;

ბ) 24 თვეზე მეტი ასაკის ყველა ცხოველმა უარყოფითი რეაქცია გამოავლინა გასული 12 თვის მანძილზე ამ და VII თავით განსაზღვრულ არანაკლებ 4 თვის ინტერვალებით ჩატარებულ ორ ტესტზე ან ის აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და იმყოფება მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზით ოფიციალურად თავისუფალ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში.

2. ჯოგი ინარჩუნებს მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალ სტატუსს თუ:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა შესრულებას კვლავ ექვემდებარება;

ბ) ჯოგში შეყვანილი ნებისმიერი ცხოველი წარმოშობილია მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან;

გ) 24 თვეზე მეტი ასაკის ყველა ცხოველი ავლენს უარყოფით რეაქციას ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის შესაბამისად, სამი წლის ინტერვალით, ჩატარებულ ტესტზე;

დ) ჯოგში შეყვანილი იმ სანაშენე ცხოველების იმპორტი, რომლებიც წარმოშობით არიან სხვა ქვეყნიდან, განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ჯოგს უჩერდება ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობები არ სრულდება ან იმ შემთხვევაში, როცა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ან კლინიკური ნიშნების საფუძველზე ერთი ან მეტი მსხვილფეხა ცხოველი საექვოა ენზოოტიური ლეიკოზზე და იგი დაუყოვნებლივ დაიკვლება.

4. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი ჩერდება თუ მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგის ცალკეულმა ცხოველმა დადებითი რეაქცია გამოავლინა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლით განსაზღვრული ტესტებიდან ერთ-ერთზე ან როცა ინფექცია სხვა მონაცემებით საექვოა ჯოგის ერთ რომელიმე ცხოველში, კერძოდ:



ა) ცხოველი, რომელსაც აქვს დადებითი რეაქცია და ძროხის შემთხვევაში, ხბო, რომელიც შესაძლოა მან მოიგო, მიჰყავთ ჯოგიდან დასაკლავად სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ;

ბ) დადებითი რეაქციის მქონე ცხოველისა და მისი შესაძლო ნაშიერის ჯოგიდან გაყვანიდან სულ მცირე სამი თვის შემდეგ, 12 თვეზე მეტი ასაკის ჯოგის ყველა ცხოველს აქვს უარყოფითი რეაქცია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის შესაბამისად ჩატარებულ ორ სეროლოგიურ ტესტზე (არანაკლებ 4 თვისა და 12 თვეზე ნაკლები პერიოდის დაშორებით);

გ) ეპიდემიოლოგიური მოკვლევა ჩატარდა უარყოფითი შედეგით და დაინფიცირებულ ჯოგთან ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული ჯოგი დაექვემდებარა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ზომებს.

5. მიუხედავად ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, სააგენტომ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი დაინფიცირებული ძროხის ხბოს დაკვლის ვალდებულებაზე იმ შემთხვევაში, თუ ის დედას დააშორეს დაბადებისთანავე. ასეთ შემთხვევაში ხბო ექვემდებარება ამ მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი სტატუსი ჩერდება იქ, სადაც მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზით ოფიციალურად თავისუფალი ჯოგის ერთზე მეტმა ცხოველმა დადებითი რეაქცია გამოავლინა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლით განსაზღვრული ტესტებიდან ერთ-ერთზე ან სადაც ინფექცია სხვაგვარად საექვოა ჯოგის ერთზე მეტ ცხოველში:

ა) ნებისმიერი ცხოველი, რომელმაც დადებითი რეაქცია გამოავლინა და ძროხის შემთხვევაში, მისი ხბოც, ექვემდებარება დაკვლას სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ;

ბ) 12 თვეზე მეტი ასაკის ჯოგის ყველა ცხოველმა უარყოფითი რეაქცია უნდა გამოავლინოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის შესაბამისად არანაკლებ 4 და არა უმეტეს 12 თვის ინტერვალებით ჩატარებულ ორ ტესტზე;

გ) ჯოგის ყველა სხვა ცხოველი იდენტიფიკაციის შემდეგ რჩება სადგომში, სანამ არ გახდება 24 თვეზე მეტი ასაკის და ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის შესაბამისად არ ჩაუტარდება გამოკვლევა აღნიშნული ასაკის შესრულების შემდეგ, გარდა იმისა, როცა სააგენტომ შეიძლება დაუშვას ასეთი ცხოველის პირდაპირ დასაკლავად გაგზავნა სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ;

დ) ეპიდემიოლოგიური მოკვლევა ჩატარდა უარყოფითი შედეგით და დაინფიცირებულ ჯოგთან ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული ყველა ჯოგი დაექვემდებარა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ზომებს.

7. მიუხედავად ამისა, სააგენტომ შეიძლება დაუშვას დაინფიცირებული ძროხის ხბოს დაკვლის ვალდებულებისგან გამონაკლისი, იმ შემთხვევაში, თუ ის დედას დააშორეს დაბადებისთანავე. ასეთ შემთხვევაში ხბო ექვემდებარება ამ მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

8. ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფლად თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ყველა პირობა სრულდება და მსხვილფეხა საქონლის ჯოგების სულ მცირე 99,8% არის მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი;

ბ) ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში არ დადასტურებულა მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის არც ერთი შემთხვევა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე და სავარაუდოდ მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზით გამოწვეული სიმსივნის არსებობაზე, სავალდებულოა შეტყობინება გამომწვევის მიზეზის მოკვლევით და:

ბ.ა) ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის შემთხვევაში, ჯოგების სულ მცირე 10 %-ში, 24 თვეზე მეტი ასაკის



ყველა ცხოველს შემთხვევითი შერჩევით ჩაუტარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის შესაბამისად, გამოკვლევა უარყოფითი შედეგებით წინა 24 თვის მანძილზე;

ბ.ბ) ან ქვეყნის ნაწილის შემთხვევაში, 24 თვეზე მეტი ასაკის ყველა ცხოველს ჩაუტარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლით განსაზღვრული ტესტი უარყოფითი შედეგებით წინა 24 თვის მანძილზე;

გ) სხვა რომელიმე მეთოდი, რომელიც 99% სანდოობით აჩვენებს, რომ ჯოგების 0,2 %-ზე ნაკლები იყო დაინფიცირებული.

9. ქვეყანა ან ქვეყნის ნაწილი ინარჩუნებს მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალის სტატუსს თუ:

ა) ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში დაკლული ყველა ცხოველი ექვემდებარება დაკვლის შემდგომ შემოწმებას, რომლის დროსაც სიმსივნის ყველა შემთხვევა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის ვირუსით, იგზავნება ლაბორატორიულ გამოკვლევაზე;

ბ) ქვეყანა ატყობინებს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (OIE) მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის ყველა შემთხვევის შესახებ;

გ) ყველა ის ცხოველი, რომელმაც დადებითი რეაქცია გამოავლინა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლით განსაზღვრული ტესტებიდან რომელიმე ტესტზე, იკვლება და მათი ჯოგები რჩებიან შეზღუდვების ქვეშ ამ მუხლის მე-4-მე-7 პუნქტებით განსაზღვრული სტატუსის აღდგენამდე და ორ წელზე მეტი ასაკის ყველა ცხოველს ჩაუტარდა ტესტი ან ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის შესაბამისად, სტატუსის მინიჭებიდან პირველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ან სხვა რომელიმე მეთოდის საფუძველზე (რომელიც 99% სანდოობით აჩვენებს, რომ ჯოგების 0,2 %-ზე ნაკლებია დაინფიცირებული) - სტატუსის მინიჭებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელშიც მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა 10 000 ჯოგიდან არც ერთში, არანაკლებ სამი წელი, შეიძლება მიღებული იქნას გადაწყვეტილება რეგულარული სეროლოგიური გამოკვლევების შემცირების შესახებ, თუ ჯოგების სულ მცირე 1%-ში, 12 თვეზე მეტი ასაკის ყველა მსხვილფეხა საქონელი, ყოველწლიურად შემთხვევითი შერჩევით დაექვემდებარა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლით განსაზღვრულ გამოკვლევას.

10. ქვეყანას ან ქვეყნის ნაწილს მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან თავისუფალი სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს, თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული მოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიურ ლეიკოზთან მიმართებაში სიტუაციის მკვეთრ ცვლილებასთან დაკავშირებით არსებობს მტკიცებულება.

11. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალის სტატუსი ქვეყანას ან ქვეყნის ნაწილს შეიძლება აღუდგეს როცა შესრულდება ამ მუხლით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნები.

## თავი VII

### მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის ტესტები

#### მუხლი 19

1. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის ტესტები ტარდება ამ მუხლის მე-2-მე-13 პუნქტებით განსაზღვრულ პირობებში აგარის გელზე იმუნოდიფუზიის მეთოდის (AGID) გამოყენებით ან ამ მუხლის მე-14-მე-16 პუნქტებით განსაზღვრულ პირობებში მყარფაზიანი იმუნოფერმენტული ანალიზის (ELISA) გამოყენებით. აგარის გელზე იმუნოდიფუზიის ტესტი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ცალკეული ნიმუშების შემოწმებისას. თუ ტესტის შედეგები საეჭვოა, ტარდება



დამატებითი შემოწმება აგარის გელზე იმუნოდიფუზიის ტესტის გამოყენებით.

2. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისთვის აგარის გელზე იმუნოდიფუზიის ტესტში გამოსაყენებელი ანტიგენი შეიცავს მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის გლიკოპროტეინს. ანტიგენის სტანდარტიზაცია ხდება E05 შრატთან მიმართებაში.

3. ლაბორატორია პასუხისმგებელია მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის ტესტების დაიგნოზის სტანდარტებისა და მეთოდების კოორდინაციაზე სტანდარტული მუშა ანტიგენის კალიბრაციაზე E05 შრატთან მიმართებაში.

4. ტესტების რეაგენტების შედგენილობაა:

ა) ანტიგენი, რომელიც შეიცავს მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის ვირუსის სპეციფიურ გლიკოპროტეინს და რომელიც სტანდარტიზებულია E05 შრატთან მიმართებაში;

ბ) სატესტო შრატი;

გ) ცნობილი დადებითი საკონტროლი შრატი;

დ) აგარის გელი:

დ.ა) 0,8% აგარი;

დ.ბ) 8,5 % NaCl;

დ.გ) 0,05M ტრის-ბუფერი pH 7,2,

დ.დ) ამ აგარის 15 მლ უნდა მოთავსდეს 85მმ დიამეტრის პეტრის ჭურჭელში, რის შედეგადაც ჭურჭლის სიღრმის 2,6 მმ აგარით ივსება.

5. ტესტის ნიმუშისთვის პეტრის ფინჯანზე განთავსებულ აგარის გელში კეთდება (იჭრება) შვიდი მშრალი ბუდე; ნიმუში შედგება ერთი ცენტრალური ბუდისგან, ხოლო ექვსი ბუდე განლაგებულია წრეზე მის გარშემო, სადაც:

ა) ცენტრალური ბუდის დიამეტრია 4 მმ;

ბ) პერიფერული ბუდეების დიამეტრია 6 მმ;

გ) ცენტრალური ბუდესა და პერიფერულ ბუდეებს შორის მანძილია 3 მმ.

6. ცენტრალური ბუდე ივსება სტანდარტული ანტიგენით. დანართი N1-ით „პეტრის ფინჯანზე ბუდეების განლაგება“ განსაზღვრული პერიფერული ბუდეები 1 და 4 ივსება ცნობილი დადებითი შრატით; ბუდეები 2, 3, 5 და 6 – სატესტო შრატებით. ბუდეების შევსება ხდება ზედაპირზე ჩაღრმავების გაქრობამდე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღწერილი პროცედურის შედეგად მიიღება შემდეგი ოდენობები:

ა) ანტიგენი: 32  $\mu$ ლ;

ბ) საკონტროლი შრატი: 73  $\mu$ ლ;

გ) სატესტო შრატი: 73  $\mu$ ლ.

8. ინკუბაცია მიმდინარეობს 72 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე (20 - 27°C ) დახურულ ტენიან კამერაში.

9. ტესტის წაკითხვა შესაძლებელია 24 და 48 საათზე, მაგრამ საბოლოო შედეგი არ მიიღება 72 საათის



გასვლამდე და:

ა) სატესტო შრავი დადებითია, თუ ის ქმნის ნალექის სპეციფიკურ ხაზს მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის ანტიგენთან და ქმნის იდენტურობის სრულ ხაზს საკონტროლო შრავთან;

ბ) სატესტო შრავი უარყოფითია, თუ ის არ ქმნის ნალექის სპეციფიკურ ხაზს მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის ანტიგენთან და თუ არ ამრუდებს საკონტროლო შრავის ხაზს;

გ) რეაქცია საექვოდ ითვლება, თუ ის:

გ.ა) ამრუდებს საკონტროლო შრავის ხაზს მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის ანტიგენის ბუდისკენ ანტიგენთან კარგად გამოხატული ნალექის ხაზის შექმნის გარეშე;

გ.ბ) ან თუ ის არ იკითხება, როგორც უარყოფითი ან როგორც დადებითი.

დ) საექვო რეაქციების დროს ტესტი შეიძლება ჩატარდეს განმეორებით და გამოყენებული იქნეს კონცენტრირებული შრავი.

10. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბუდეების სხვა ნებისმიერი კონფიგურაცია ან მოდელი თუ E05 შრავი გახსნილი უარყოფით შრავთან 1:10 შეიძლება ჩაითვალოს დადებითად.

11. ანტიგენის სტანდარტიზაციის მეთოდისთვის აუცილებელი მასალა და სხნარებია:

ა) 1,6 % აგაროზის 40 მლ 0,05 M Tris/HCl ბუფერში, pH 7,2, 8,5 % NaCl -თან;

ბ) 15 მლ მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის შრავი, რომელსაც ანტისხეული გააჩნია მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის გლიკოპროტეინებთან, 1:10 გახსნილი 0,05 M Tris/HCl ბუფერში, pH 7,2, 8,5 % NaCl -თან;

გ) 15 მლ მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის შრავი, რომელსაც ანტისხეული გააჩნია მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის გლიკოპროტეინებთან, 1:5 გახსნილი 0,05 M Tris/HCl ბუფერში, pH 7,2, 8,5 % NaCl -თან;

დ) პლასტმასის ოთხი 85 მმ დიამეტრის პეტრის ფინჯანი;

ე) 4-6მმ დიამეტრის პერფორატორი;

ვ) ეტალონი ანტიგენი;

ზ) ანტიგენი, რომლის სტანდარტიზაციაც უნდა მოხდეს;

თ) წყლის აბაზანა (56 °C).

12. ანტიგენის სტანდარტიზაციის მეთოდის პროცედურაა:

ა) აგაროზი (1,6 %) იხსნება ტრის/HCl ბუფერში 100 °C -მდე გაცხელებით. თავსდება 56°C წყლის აბაზანაში დაახლოებით 1 საათის განმავლობაში. ასევე, 56°C წყლის აბაზანაში თავსდება მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის შრავის ხსნარი;

ბ) შემდეგ შერევა ხდება 15 მლ 56°C აგაროზის ხსნარის 15 მლ მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის შრავთან(1:10), უნდა შეინჯდრეს სწრაფად და 15-15 მლ იხსმება პეტრის ორივე ფინჯანში. აღნიშნული პროცედურა მეორდება მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის შრავით (1:5);

გ) როცა აგაროზი გამყარდება, მასში კეთდება ღრმულები ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის N1 შესაბამისად;

დ) ანტიგენის დამატება:



დ.ა) პეტრის ფინჯანი №1 და №3:

დ.ა.ა) ბუდე ა – განუზავებელი ანტიგენის ეტალონი;

დ.ა.ბ) ბუდე ბ – 1:2 განუზავებული ანტიგენის ეტალონი;

დ.ა.გ) ბუდეები გ და ე – ეტალონი ანტიგენი;

დ.ა.დ) ბუდე დ – განუზავებელი ტესტ-ანტიგენი;

დ.ბ) პეტრის ფინჯანი №2 და №4:

დ.ბ.ა) ბუდე ა – განუზავებელი ტესტ-ანტიგენი;

დ.ბ.ბ) ბუდე ბ – 1:2 განუზავებული ტესტ-ანტიგენი;

დ.ბ.გ) ბუდე გ — 1:4 განუზავებული ტესტ-ანტიგენი;

დ.ბ.დ) ბუდე დ — 1:8 განუზავებული ტესტ-ანტიგენი.

13. ანტიგენის სტანდარტიზაციის მეთოდისთვის დამატებითი მოთხოვნებია:

ა) ცდა ტარდება შრატის 2 ხსნარით (1:5 და 1:10) ოპტიმალური ნალექის მისაღებად;

ბ) თუ ნალექის დიამეტრი ორივე ხსნარით ძალიან პატარაა, მაშინ შრატი კიდევ უნდა გაიხსნას;

გ) თუ ნალექის დიამეტრი ორივე ხსნარში ძალიან დიდია და შეუმჩნეველი (მკრთალი), მაშინ უნდა შეირჩეს უფრო მცირე დოზის შრატი;

დ) აგაროზას საბოლოო კონცენტრაცია უნდა იყოს 0,8%, შრატის კი შესაბამისად - 5% და 10%;

ე) გაზომილი დიამეტრები უნდა მოინიშნოს დანართი №2-ით „საკოორდინატო სისტემა“ განსაზღვრულ საკოორდინატო სისტემაზე. საცდელი ანტიგენის ხსნარი, რომლის დიამეტრიც ეტალონი ანტიგენის დიამეტრის ტოლია, წარმოადგენს სამუშაო ხსნარს.

14. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზის დასადგენად მყარფაზიანი იმუნოფერმენტული ანალიზის (ELISA) დროს გამოსაყენებელი მასალა და რეაგენტები:

ა) მყარფაზიანი მიკროპლანშეტები, კიუვეტები ან სხვა რომელიმე მყარი ფაზა;

ბ) ანტიგენი, რომელიც მაგრდება მყარ ფაზაზე პოლიკლონური ან მონოკლონური ანტისხეულების დახმარებით ან მათ გარეშე. თუ ანტიგენი დაგრუნტულია პირდაპირ მყარ ფაზასთან, ყველა სატესტო ნიმუში, რომელმაც დადებითი რეაქცია აჩვენა, ხელახლა უნდა შემოწმდეს საკონტროლო ანტიგენის მიმართ. საკონტროლო ანტიგენი ანტიგენის იდენტური უნდა იყოს, გარდა იმისა, როდესაც მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის ანტიგენები არ გვაქვს სახეზე. თუ დაავადების გამომწვევი ანტისხეულები დაგრუნტულია მყარ ფაზასთან, ანტისხეულები მსხვილფეხა საქონლის ლეიკოზის ვირუსის ანტიგენების გარდა სხვა ანტიგენზე არ რეაგირებენ;

გ) ბიოლოგიური სითხე, რომელიც უნდა შემოწმდეს;

დ) შესაბამისი დადებითი და უარყოფითი კონტროლი;

ე) შეწყვილება (კონიუგირება);

ვ) გამოყენებულ ენზიმთან ადაპტირებული სუბსტრატი;



ზ) შემაჩერებელი ხსნარი, საჭიროების შემთხვევაში;

თ) ტესტის ნიმუშების გამხსნელი ხსნარები გასარეცხად და რეაგენტების მოსამზადებლად;

ი) გამოყენებული სუბსტრატის წაკითხვის შესაბამისი სისტემა.

15. ELISA-ს მგრძობელობა იმ დონის უნდა იყოს, რომ E05 შრატმა აჩვენოს დადებითი, ცალკეული ნიმუშებიდან მიღებულ ხსნართან შედარებით 10-ჯერ (შრატის ნიმუშები) ან 250-ჯერ (რძის ნიმუშები) მეტად განზავებისას, როცა ეს ნიმუშები შედის ნაზავში. ისეთ ანალიზში, რომელშიც ნიმუშები (შრატის და რძის) მოწმდება ინდივიდუალურად, E05 შრატი, რომელიც გახსნილია 1/10 (უარყოფით შრატში) ან 1/250 (უარყოფით რძეში), უნდა შეფასდეს დადებითად, როცა მოწმდება იმავე ანალიზის ხსნარში, რომელიც გამოყენებული იყო ტესტის ცალკეული ნიმუშებისთვის. ლაბორატორია პასუხისმგებელია ELISA-ს ხარისხის შემოწმებაზე, განსაკუთრებით, პროდუქციის თითოეული პარტიისთვის E05 შრატისთვის მიღებული გამოთვლის საფუძველზე ნაზავში მოსათავსებელი ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრაზე.

16. მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისთვის ELISA-ს გამოყენების პირობებია:

ა) ELISA-ს გამოყენება შეიძლება შრატისა და რძის ნიმუშებზე;

ბ) იქ, სადაც ELISA გამოიყენება დამადასტურებელი მიზნებისთვის ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ან ჯოგის სტატუსის დასადგენად ან შესანარჩუნებლად ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18 მუხლის მიხედვით, შრატის ან რძის ნიმუშების განზავება უნდა მოხდეს ისე, რომ შესამოწმებელი ნიმუშები დანამდვილებით წარმოადგენდეს იმ ცალკეული ცხოველის ნიმუშს, რომელშიც ნაზავში მოათავსეს. ნებისმიერი დამადასტურებელი ტესტი უნდა ჩატარდეს ცალკეული ცხოველებიდან აღებულ ნიმუშებზე.

გ) იქ, სადაც ELISA გამოიყენება მოგროვებული რძის ნიმუშზე, აღნიშნული ნიმუში აღებული უნდა იქნეს ისეთი ჯოგიდან მოგროვებული რძიდან, რომელშიც სულ მცირე 30% მეწველი ძროხაა. ნებისმიერი დამადასტურებელი ტესტი უნდა ჩატარდეს ცალკეული ცხოველებიდან აღებული შრატის ან რძის ნიმუშებზე.

## თავი VIII

### დაავადებები

#### მუხლი 20

1. მსხვილფეხა საქონლის სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებები:

ა) თურქული;

ბ) ცოვი;

გ) ტუბერკულოზი;

დ) ბრუცელოზი;

ე) მსხვილფეხა საქონლის გადამდები პლევროპნევმონია;

ვ) მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზი;

ზ) ჯილეხი.



2. ღორის სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებები:

- ა) ცოფი;
- ბ) ბრუცელოზი;
- გ) ღორის კლასიკური ჭირი;
- დ) ღორის აფრიკული ჭირი;
- ე) თურქული;
- ვ) ღორების ვეზიკულარული დაავადება;
- ზ) ჯილეხი.

3. სახელმწიფო კონტროლის პროგრამა უნდა შემუშავდეს აგრეთვე შემდეგ დაავადებებზე:

- ა) აუესკის დაავადება;
- ბ) მსხვილფეხა საქონლის ინფექციური რინოტრაქეიტი;
- გ) Brucella suis-ით გამოწვეული ინფექცია;
- დ) გადამდები გასტროენტერიტი.

## თავი IX

### პასუხისმგებლობა

#### მუხლი 21

თუ დადასტურდება, რომ ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული პირობები არ სრულდება ან არ შესრულებულა, სააგენტო ატარებს ყველა სათანადო ზომას ცხოველების ჯანმრთელობის დასაცავად და დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტოს ამგვარი გადაწყვეტილება, შეიძლება, მოიცავდეს ისეთი ზომების გატარებას, როგორცაა:

- ა) მგზავრობის დასრულების ან ცხოველის ყველაზე პირდაპირი გზით უკან (გამომგზავრების ადგილზე) გაბრუნება, იმ პირობით, რომ აღნიშნული ქმედება არ შეუქმნის საფრთხეს ცხოველის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას;
- ბ) მგზავრობის შეწყვეტის შემთხვევაში, ცხოველის შესაფერის ადგილას დაბინავება შესაბამისი მოვლა-პატრონობის გაწევით;
- გ) ცხოველის დასაკლავად გაგზავნა; იმ შემთხვევებში, როცა ცხოველის ჯანმრთელობის სტატუსის დადგენა ვერ ხერხდება ან ის ქმნის რისკს ცხოველის ან საზოგადოების ჯანმრთელობისთვის გამოიყენება ცწადპ-თან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მიეწოდება მფლობელს ან მის აგენტს საბოლოო გადაწყვეტილების განხორციელებამდე.



პეტრის ფინჯანზე ზუდეების განლაგება

პეტრის ფინჯანი N1

შრავტი 1:10



პეტრის ფინჯანი N2

შრავტი 1:10



პეტრის ფინჯანი N3

შრავტი 1:5




პეტრის ფინჯანი N4

შრავტი 1:5



დანართი N2

საკოორდინატო სისტემა



დანართი N3

ცხოველის ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატი მსხვილფეხა საქონლის  
მოშენების/წარმოების/დაკვლისთვის

1.1 გამგზავნი სახელი მისამართი საფოსტო ინდექსი	1.2 სერტიფიკატის ნომერი		1.2.ა. ადგილობრივი ნომერი	
	1.3. ეროვნული სააგენტო			
	1.4. რეგიონალური სამმართველო			
1.5. მიმღები/Consignee სახელი მისამართი საფოსტო ინდექსი	1.6			
	1.7 დილერი დასახელება ავტორიზაციის ნომერი			
1.8. წარმოშობის ქვეყანა	1.9. წარმოშობის რეგიონი	1.10. დანიშნულების ქვეყანა	1.11. დანიშნულების რეგიონი	
1.12. წარმოშობის ადგილი სადგომი დილერის შენობა-ნაგებობა შემკრები ცენტრი  სახელი ავტორიზაციის/რეგისტრაციის ნომერი  მისამართი საფოსტო ინდექსი	1.13. დანიშნულების ადგილი სადგომი დილერის შენობა-ნაგებობა შემკრები ცენტრი საწარმო  სახელი ადიარების/ავტორიზაციის ნომერი  მისამართი საფოსტო ინდექსი			

1.14. დატვირთვის ადგილი საფოსტი ინდექსი		1.15. გამგზავრების თარიღი და დრო	
1.16 ტრანსპორტის სახე თვითმფრინავი გემი სარკინიგზო ვაგონი საგზაო ავტოტრანსპორტი სხვა იდენტიფიკაცია ნომერი(ნომრები)		1.17. გადამზიდავი სახელი ავტორიზაციის ნომერი მისამართი საფოსტო ინდექსი	
1.18. საქონლის აღწერა		1.19. საქონლის კოდი(CN კოდი) 0102	
		1.20. რაოდენობა	
1.21.		1.22.	
1.23.კონტეინერის/ლუქი No		1.24.	
1.25. საქონელი სერტიფიცირებულია: მომწიფებისთვის წარმოებისთვის დაკვლისთვის			
1.26		1.27	
1.28		1.29 მგზავრობის სავარაუდო ხანგრძლივობა	
1.30 მარშრუტის გეგმა დიახ არა			
1.31 ცხოველების იდენტიფიკაცია საიდენტიფიკაციო ნომერი პასპორტის ნომერი			

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
(1)ან [მე, ქვემოთ ხელის მომწერი უფლებამოსილი პირი(ვეტერინარი) ვადასტურებ, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში		

ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ ყველა შესაბამისი ნორმა შესრულებულია და პირველ ნაწილში აღწერილი ცხოველი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:]

(1)(2) ან [იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც შეიცავს ოფიციალური დოკუმენტი ან სერტიფიკატი, რომლის ა და ბ სექციები შევსებულია წარმოშობის სადგომზე პასუხისმგებელი ავტორიზებული ვეტერინარის ან სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, მე, ქვემოთ ხელის მომწერი უფლებამოსილი პირი(ვეტერინარი), ვადასტურებ, რომ .... „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ ყველა შესაბამისი ნორმა შესრულებულია და პირველ ნაწილში აღწერილი ცხოველი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:]

II.1 სექცია ა)

II.1.1. ცხოველი წარმოშობილია წარმოშობის სადგომიდან და არეალიდან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება აკრძალვას ან შეზღუდვას მსხვილფეხა საქონელზე ზეგავლენის მქონე ცხოველის დაავადების გამო.

(1)ან [II.1.2. მსხვილფეხა საქონელი გამიზნულია მოშენებისთვის ან წარმოებისთვის, და

II.1.2.1. რამდენადაც შეიძლება გამოირკვეს, იმყოფება წარმოშობის სადგომში ბოლოს 30 დღის განმავლობაში ან დაბადებიდან, 30 დღეზე ნაკლები ასაკის შემთხვევაში და სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული არც ერთი ცხოველი არ ყოფილა შეყვანილი ამ სადგომზე ამ პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის იქნა იზოლირებული სადგომზე მყოფი სხვა ცხოველებისგან.

II.1.2.2. წარმოშობით არის ტუბერკულოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან, და

(1)ან [II.1.2.2.1. სადგომი მდებარეობს ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, სადაც დანერგილია საზედამხედველო ქსელი]

(1) ან/და [II.1.2.2.2. სადგომი მდებარეობს ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელიც „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად მიჩნეულია ტუბერკულოზისაგან ოფიციალურად თავისუფლად ]

(1) ან/და [II.1.2.2.3 ცხოველი არის 6 კვირაზე ნაკლები ასაკის;]

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
-------------------------------------	--------------------------	-------------------------

(1) ან/და [II.1.2.2.4 ცხოველი არის 6 კვირის ან მეტი ასაკის და წარმოშობის სადგომიდან გამგზავრებამდე 30 დღით ადრე გამოკვლეულ იქნა „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ტუბერკულოზზე .... (მიუთითეთ თარიღი) უარყოფითი შედეგებით;]

II.1.2.3. წარმოშობილია ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან , და

(1)ან [II.1.2.3.1. სადგომი მდებარეობს ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელშიც დანერგილია საზედამხედველო ქსელი ]

(1)ან/და [II.1.2.3.2. სადგომი მდებარეობს ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელიც „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში

ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის 23-ე პუნქტის მიხედვით მიჩნეულია, როგორც ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი

(1) ან/და [II.1.2.3.3. არის კასტრირებული ცხოველი ან/და 12 თვეზე ნაკლები ასაკის;]

(1) ან/და [II.1.2.3.4. ცხოველი 12 თვის ან მეტი ასაკის და წარმოშობის სადგომიდან გამგზავრებამდე 30 დღით ადრე გამოკვლეულ იქნა „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ბრუცელოზზე .... (მიუთითეთ თარიღი) უარყოფითი შედეგებით;]

II.1.2.4. წარმოშობილია მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან

(1) ან [II.1.2.4.1. სადგომი მდებარეობს ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელშიც დანერგილია საზედამხედველო ქსელი ]

(1) ან/და [სადგომი მდებარეობს ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელიც „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მიჩნეულია მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფლად

(1) ან/და [II.1.2.4.3. არის ცხოველი 12 თვეზე ნაკლები ასაკის;]

(1) ან/და [II.1.2.4.4. არის ცხოველი 12 თვის ან მეტი ასაკის და წარმოშობის სადგომიდან გამგზავრებამდე 30 დღით ადრე გამოკვლეულ იქნა „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიურ ლეიკოზზე .... (მიუთითეთ თარიღი) უარყოფითი შედეგებით;]

(1) ან [II.1.2. დასაკლავად განკუთვნილი ცხოველი არის წარმოშობილი ტუბერკულოზისაგან და მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან, და

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
-------------------------------------	--------------------------	-------------------------

(1) ან [ II.1.2.1. წარმოშობილია ბრუცელოზისაგან ოფიციალურად თავისუფალი ჯოგიდან;]]

(1) ან/და [II.1.2.2. არის კასტრირებული.]

**II.2 სექცია ბ**

ამ სექციაში აღწერილი ტვირთი შეესაბამება I.15, 1.16<sup>(ა)</sup>, 1.17<sup>(ა)</sup>, 1.20 და 1.31 პუნქტებში მითითებულ ინფორმაციას.

II.2.1. ცხოველი არ დარჩა ავტორიზებულ შემკრებ ცენტრში 6 დღეზე მეტხანს.

II.2.2. ცხოველის ტრანსპორტირებისთვის მიღებულია ზომები, რათა ტრანსპორტირებული იქნეს იმგვარად კონსტრუირებული სატრანსპორტო საშუალებით, რომ ცხოველის ექსკრემენტი, ნაგავი ან საკვები არ იქნეს გამოჟონილი ან ჩამოვარდნილი (გადმოცენილი) სატრანსპორტო საშუალებიდან და დაუყოვნებლივ ცხოველის ან იმ პროდუქტის, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ზეგავლენა ცხოველის ჯანმრთელობაზე, ტრანსპორტირების შემდგომ და საჭიროებისამებრ ცხოველით დატვირთვამდე იქნა დასუფთავებული და დეზინფექტანტების გამოყენებით დეზინფიცირებული.

(5) II.2.3. შემოწმების დროს, ცხოველი, რომელზეც ვრცელდება ეს ჯანმრთელობის სერტიფიკატი იყო ტრანსპორტირებისთვის ვარგისი ..... (მიუთითეთ მგზავრობის საწყისი თარიღი)

II.2.4. ეს სერტიფიკატი ძალაშია წარმოშობის სადგომზე ან ავტორიზებულ შემკრებ ცენტრში შემოწმების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში ;]

**შენიშვნები**

- სერტიფიკატის ა და ბ სექციები იქნება ბეჭედდასმული და ხელმოწერილი:
- წარმოშობის სადგომის ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ; ან
- წარმოშობის სადგომის ავტორიზებული ვეტერინარის მიერ თუ ქვეყანაში დანერგილია საზედამხედველო ქსელის სისტემა; ან
- იმ ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, სადაც მდებარეობს ავტორიზებული შემკრები ცენტრი ცხოველის გამგზავრების თარიღის დროს.

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
-------------------------------------	--------------------------	-------------------------

**ნაწილი I:**

- მითითება I.7: შეავსეთ საჭიროებისამებრ
- მითითება I.12: დილერის შენობა-ნაგებობები იქნება მხოლოდ აღნიშნული, როგორც წარმოშობის ადგილი დასაკლავად განკუთვნილი ცხოველისთვის.
- მითითება I.13: დასაკლავად განკუთვნილი ცხოველების შემთხვევაში ან შემკრები ცენტრი ან საწარმო იქნება აღნიშნული დანიშნულების ადგილად.
- მითითება I.23: კონტეინერების ან მარის, კონტეინერის/მარის ნომერი და ლუქის (საჭიროებისამებრ) ნომერი უნდა იქნეს მითითებული
- მითითება I.31. იდენტიფიკაცია: მიუთითეთ ტვირთის თითოეული ცხოველისთვის ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომერი და პასპორტის ნომერი „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N764 დადგენილების - შესაბამისად. თითოეული ცხოველისთვის, რომელსაც თან ახლავს პასპორტი, პასპორტის ნომრის შეყვანა არ არის სავალდებულო.

**ნაწილი II:**

- (1) წაიშალოს საჭიროებისამებრ
- (2) ხელმოწერილი იქნება სახელმწიფო ვეტერინარის მიერ შემკრებ ცენტრში ოფიციალური დოკუმენტით ან სექცია ა და ბ შევსებული სერტიფიკატით ჩამოსულ ცხოველებზე დოკუმენტური შემოწმებისა და იდენტიფიკაციის შემოწმების შემდეგ, სხვა შემთხვევაში ეს პუნქტი წაიშალოს.
- (3) უნდა იქნეს მითითებული, თუ ტრანსპორტირების დისტანცია აღწევს 65 კმს.
- (5) იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთი მოგროვილია შემკრებ ცენტრში და მოიცავს ცხოველებს, რომლებიც ჩატვირთულ იქნა სხვადასხვა დროს(თარიღს), ტვირთის რომელიმე ნაწილის მიერ წარმოშობის სადგომის დატოვების დრო იქნება ის თარიღი, როდესაც მგზავრობა დაიწყო მთელი ტვირთისთვის.

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
--	--------------------------------	----------------------------

□ ბეჭდისა და ხელმოწერის ფერი უნდა იყოს სერტიფიკატში მითითებული სხვა დეტალებისგან განსხვავებული ფერის.

- □ ამ სერტიფიკატის სავალდებულო დეტალები უნდა იქნეს შეყვანილი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში სერტიფიკატის გაცემის დღეს და სულ მცირე გაცემიდან 24 საათში.

სახელმწიფო ვეტერინარი:	კვალიფიკაცია:
სახელი:	
რეგიონალური სამმართველო :	
თარიღი:	
ბეჭედი:	ხელმოწერა:

დანართი N4

ცხოველის ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატი ღორის მოშენების/წარმოების/დაკვლისთვის

1.2 გამგზავნი სახელი მისამართი საფოსტო ინდექსი	1.2 სერტიფიკატის ნომერი	<del>1.2.ა. ადგილობრივი ნომერი</del>	
	1.3. ეროვნული სააგენტო		
	1.4 რეგიონალური სამმართველო		
1.5. მიმღები/Consignee სახელი მისამართი საფოსტო ინდექსი	1.6		
	1.17 დილერი დასახელება ავტორიზაციის ნომერი		
1.8. წარმოშობის ქვეყანა	1.9. წარმოშობის რეგიონი	1.10. დანიშნულების ქვეყანა	1.11. დანიშნულების რეგიონი

<p>1.12. წარმოშობის ადგილი სადგომი დილერის შენობა-ნაგებობა შემკრები ცენტრი</p> <p>სახელი ავტორიზაციის/რეგისტრაციის ნომერი</p> <p>მისამართი საფოსტო ინდექსი</p>	<p>1.13. დანიშნულების ადგილი სადგომი დილერის შენობა-ნაგებობა შემკრები ცენტრი საწარმო</p> <p>სახელი ალიარების/ავტორიზაციის ნომერი</p> <p>მისამართი საფოსტო ინდექსი</p>
<p>1.14 დატვირთვის ადგილი</p> <p>საფოსტი ინდექსი</p>	<p>1.15. გამგზავრების თარიღი და დრო</p>
<p>1.16 ტრანსპორტის სახე თვითმფრინავი გემი სარკინიგზო ვაგონი</p> <p>საგზაო ავტოტრანსპორტი სხვა იდენტიფიკაცია ნომერი(ნომრები)</p>	<p>1.17. გადამზიდავი სახელი ავტორიზაციის ნომერი</p> <p>მისამართი საფოსტო ინდექსი</p>
<p>1.18. საქონლის აღწერა</p>	<p>1.19. საქონლის კოდი(CN კოდი) 0103</p> <p>1.20. რაოდენობა</p>
<p>1.21.</p>	<p>1.22.</p>
<p>1.23.კონტეინერის/მარის/ლუქი No</p>	<p>1.24.</p>
<p>1.25. საქონელი სერტიფიცირებულია: მომწიფებისთვის წარმოებისთვის დაკველისთვის</p>	
<p>1.26</p>	<p>1.27</p>
<p>1.28</p>	<p>1.29 მგზავრობის სავარაუდო ხანგრძლივობა</p>
<p>1.30 მარშრუტის გეგმა დიახ არა</p>	
<p>1.31 ცხოველების იდენტიფიკაცია ასაკი</p> <p>საიდენტიფიკაციო ნომერი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შემთხვევაში</p>	

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
<p>(1)ან [მე, ქვემოთ ხელის მომწერი უფლებამოსილი პირი(ვეტერინარი) ვადასტურებ, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ ყველა შესაბამისი ნორმა შესრულებულია და პირველ ნაწილში აღწერილი ცხოველი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:]</p> <p>(1)(2) ან [იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც შეიცავს ოფიციალური დოკუმენტი ან სერტიფიკატი, რომლის ა და ბ სექციები შევსებულია წარმოშობის სადგომზე პასუხისმგებელი ავტორიზებული ვეტერინარის ან სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, მე, ქვემოთ ხელის მომწერი უფლებამოსილი პირი(ვეტერინარი), ვადასტურებ, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ ყველა შესაბამისი ნორმა შესრულებულია და პირველ ნაწილში აღწერილი ცხოველი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:]</p> <p>II.1 სექცია ა)</p> <p>II.1.1. ცხოველი წარმოშობილია წარმოშობის სადგომიდან და არეალიდან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება აკრძალვას ან შეზღუდვას ღორზე ზეგავლენის მქონე ცხოველის დაავადების გამო.</p> <p>(1) და [სადგომი მდებარეობს ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელშიც დანერგილია საზედამხედველო ქსელი ]</p> <p>(1) ან [II.1.2. ცხოველი არის „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გასაზღვრული მოშენებისთვის ან წარმოებისათვის განკუთვნილი ღორი, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია ამის დადგენა, წარმოშობის სადგომში იყო განთავსებული ბოლო 30 დღე ან 30 დღეზე ნაკლები ასაკის შემთხვევაში დაბადებიდან, ამასთან, სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული არც ერთი ცხოველი არ ყოფილა შემოყვანილი სადგომზე ამ პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განხორციელდა ცხოველის იზოლირება სადგომზე მყოფი ყველა დანარჩენი ცხოველისგან.]</p> <p>(1) ან [II.1.2. ცხოველი არის „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დასაკლავად განკუთვნილი ღორი]</p> <p>(1)[ II.1.3. ცხოველი არის მოშენების ან წარმოებისათვის განკუთვნილი შინაური ღორი ისეთი სადგომიდან(სადგომებიდან) წარმოშობილი, რომელშიც კონტროლირებული მოვლა-შენახვის პირობებშია და ცხოველს არ გაუვლია „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე“ დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ რომელიმე შემკრებ ცენტრზე, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.]</p> <p>(1) [II.1.3. ცხოველი არის დასაკლავად განკუთვნილი შინაური ღორი და</p>		
II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი

(1) ან [II.1.3.1. არის 5 კვირაზე ნაკლები ასაკის და ასხლეტილია ]

(1) ან [II.1.3.1. წარმოშობით არის სადგომიდან (სადგომებიდან), რომელიც ოფიციალურად მიჩნეულია, რომ იყენებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონტროლირებულ მოვლა-შენახვის პირობებს

(1) ან [ II.1.3.1.1. რომლის ყველა ნეზვის და მამალი ღორის ტანხორცი შემოწმებულია ტრიქინელაზე]]

(1)ან/და [II.1.3.1.1. რომლის დასაკლავად გაგზავნილი ცხოველის 10%-ის ტანხორცი შემოწმებულია ტრიქინელაზე]]

(1) ან [ II.1.3.1.1. მდებარეობს ქვეყნის იმ ნაწილში, რომელშიც ოფიციალურად მიჩნეულ კონტროლირებადი საცხოვრებელი პირობების მქონე სადგომში მყოფ შინაურ ღორში არ გამოვლენილა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ენდემიური ტრიქინელა ბოლო 3 წლის განმავლობაში.

(1) ან [II.1.3.1.1. მდებარეობს ისეთ ნაწილში, რომლის სადგომის ან კომპარტმენტის ისტორიული მონაცემები, რომელიც შეგროვილია დაკლული ღორის პოპულაციაზე ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად, სულ მცირე 95% იანი სანდოობით უზრუნველყოფს, რომ ტრიქინელას გავრცელება არ აღემატება 1: 100000000 ამ პოპულაციაში]]

**II.2 სექცია ბ)**

ამ სექციაში აღწერილი ტვირთი შეესაბამება I.15, 1.16<sup>(3)</sup>, 1.17<sup>(3)</sup>, 1.20 და 1.31 პუნქტებში შეყვანილ ინფორმაციას.

II.2.1. ცხოველი არ დარჩა ავტორიზებულ შემკრებ ცენტრში 6 დღეზე მეტხანს.

II.2.2. ცხოველის ტრანსპორტირებისთვის მიღებულია ზომები, რათა ტრანსპორტირებული იქნეს იმგვარად კონსტრუირებული სატრანსპორტო საშუალებით, რომ ცხოველის ექსკრემენტი, ნაგავი ან საკვები არ იქნეს გამოყოფილი ან ჩამოვარდნილი(გადმოცვნილი) სატრანსპორტო საშუალებიდან და დაუყოვნებლივ ცხოველის ან იმ პროდუქტის, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ზეგავლენა ცხოველის ჯანმრთელობაზე, ტრანსპორტირების შემდგომ და საჭიროებისამებრ ცხოველით დატვირთვამდე იქნა დასუფთავებული და დეზინფექტანტების გამოყენებით დეზინფიცირებული.

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
-------------------------------------	--------------------------	-------------------------

(4)II.2.3. შემოწმების დროს, ცხოველი, რომელზეც ვრცელდება ეს ჯანმრთელობის (ვეტერინარული) სერტიფიკატი იყო ტრანსპორტირებისთვის ვარგისი ..... (მიუთითეთ მგზავრობის საწყისი თარიღი)

II.2.4. ეს სერტიფიკატი ძალაშია წარმოშობის სადგომზე ან ავტორიზებულ შემკრებ ცენტრში შემოწმების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში ;]

**შენიშვნები**

- სერტიფიკატის ა და ბ სექციები იქნება ბეჭედდასმული და ხელმოწერილი:
- წარმოშობის სადგომის ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ; ან

წარმოშობის სადგომის ავტორიზებული ვეტერინარის მიერ თუ ქვეყანაში დანერგილია საზედამხედველო ქსელის სისტემა; ან

იმ ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, სადაც მდებარეობს ავტორიზებული შემკრები ცენტრი ცხოველის გამგზავრების თარიღის დროს.

**ნაწილი I:**

მითითება I.7: შეავსეთ საჭიროებისამებრ

მითითება I.12: დილერის შენობა-ნაგებობები იქნება მხოლოდ აღნიშნული, როგორც წარმოშობის ადგილი დასაკლავად განკუთვნილი ცხოველისთვის.

მითითება I.13: დასაკლავად განკუთვნილი ცხოველების შემთხვევაში ან შემკრები ცენტრი ან საწარმო იქნება აღნიშნული დანიშნულების ადგილად.

მითითება I.23: კონტეინერების ან ძარის, კონტეინერის/ძარის ნომერი და ლუქის (საჭიროებისამებრ) ნომერი უნდა იქნეს მითითებული

მითითება I.31. იდენტიფიკაცია: ცოხველი იდენტიფიცირებული უნდა იქნეს „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის დადგენილების N548 შესაბამისად; ცოცხალი ცხოველის ასაკი: ტვირთის ცხოველის ჯგუფისთვის მიუთითეთ ასაკი კვირებში.

II. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია	II.ა სერტიფიკატის ნომერი	II.ბ ადგილობრივი ნომერი
-------------------------------------	-----------------------------	----------------------------

**ნაწილი II:**

(1) წაიშალოს საჭიროებისამებრ

(2) ხელმოწერილი იქნება სახელმწიფო ვეტერინარის მიერ შემკრებ ცენტრში ოფიციალური დოკუმენტით ან სექცია ა და ბ შევსებული სერტიფიკატით ჩამოსულ ცხოველებზე დოკუმენტური შემოწმებისა და იდენტიფიკაციის შემოწმების შემდეგ, სხვა შემთხვევაში ეს პუნქტი წაიშალოს.

(3) უნდა იქნეს მითითებული, თუ ტრანსპორტირების დისტანცია აჭარბებს 65 კმ-ს.

(4) იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთი მოგროვილია შემკრებ ცენტრში და მოიცავს ცხოველებს, რომლებიც ჩატვირთულ იქნა სხვადასხვა დროს(თარიღს), ტვირთის რომელიმე ნაწილის მიერ წარმოშობის სადგომის დატოვების დრო იქნება ის თარიღი, როდესაც მგზავრობა დაიწყო მთელი ტვირთისთვის.

ბეჭდისა და ხელმოწერის ფერი უნდა იყოს სერტიფიკატში მითითებული სხვა დეტალებისგან განსხვავებული ფერის.

ამ სერტიფიკატის სავალდებულო დეტალები უნდა იქნეს შეყვანილი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში სერტიფიკატის გაცემის დღეს და სულ მცირე გაცემიდან 24 საათში.

სახელმწიფო ვეტერინარი: სახელი: რეგიონალური სამმართველო: თარიღი: ბეჭედი:	კვალიფიკაცია:  ხელმოწერა:	